საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუნი სიფფეკვაა, ფეფილებით და ჭიბეებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 9 თებერვალი. 2019 წ. №29 (8695) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

რა უთხრა ბიძინა ივანიშვილმა „ამბოხებულ“ გედი ფოფხაძეს პარტიიდან წასვლაზე

ბიძინა ივანიშვილი გედევან ფოფხაძეს „ქართული ოცნებიდან“ წასვლა-დარჩენის საკითხზე სამ ვარიანტს სთავაზობს:

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, **6 თებერვალს გამართულ უმრავლესობის სხდომაზე ივანიშვილმა ფოფხაძეს მიმართა, რომ თუკი „ქართული ოცნებიდან“ გასვლა უნდა, შეუძლია საკუთარი ინიციატივით გავიდეს, თუკი გუნდში დარჩენა სურს — დარჩეს, ხოლო თუკი გარიცხვა უნდა — გარიცხავენ. როგორც სააგენტოს ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, ივანიშვილმა ფოფხაძეს შესთავაზა, რომ ამ სამ ვარიანტს შორის არჩევანი თავად გააკეთოს და გადაწყვეტილება მიიღოს.**

რამდენად მართალია ეს შეთავაზება, ჯერჯერობით გედი ფოფხაძეს არ უთქვამს!

ორმოცი ნაბიჯი – წინ!

ირანის ისლამური რევოლუციის მეორმოცე წლისთავი

5

ეგ ლაყბობა ამ ჩვენს
დროში გვამყოფინე,
უთავბოლო ლაი-რიოში
გვამყოფინე!
შენი სიტყვა მიწიერი,
ბიწიერი, ყალბი, ფუჭი
და რიოში გვამყოფინე!
წადი სადმე, ოღონდ
თავი დაგვანებე,
უთავბოლო ლაი-რიოში
გვამყოფინე!..

იმამ ხომეინი

ფოთის ტერმინალი: წმინდა ეკონომიკური პროექტი თუ ანაკლიის მშენებლებთან ანგარიშსწორება?

3

ოკუპანტებს მიაქვთ

8

ეს ტყეები, უზარმაზარი ტერიტორია მიაქვთ, გესმით თქვენ?!

უფალო, შეიბრალე მდიდრები!

11

რას ითხოვენ ოკუპირებულ აფხაზეთში დარჩენილი ქართველებისგან აფხაზური პასპორტის სანაცვლოდ?!

8



კვირაძალს საკითხავი

„ყველას, ყველაფერს, დიდი ხანია, უკვე სძინავს ხევსურეთის ნალვლიან მთებში“...

6
7

წუხელი ახ – ცუმლი...

ბრიუსელში სასწავლო ვიზიტიდან დაბრუნებულნი პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ

ჩემთვის **მასწავლებელი წარმოადგენს ყველაზე ღირებულ პიროვნებას ნებისმიერ საზოგადოებაში; სწორედ თქვენ განსაზღვრავთ ჩვენი მომავალი თაობებისთვის მთავარ ფასეულობებს, იმ ორიენტირებს, რომელზეც უნდა აშენდეს ჩვენი საერთო ქართული სახელმწიფო,** — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბრიუსელში სასწავლო ვიზიტიდან დაბრუნებულ პანკისის ხეობის საჯარო სკოლების მასწავლებლებს, რომლებსაც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა პედაგოგების ბრიუსელში ვიზიტის მნიშვნელოვან დატვირთვას, ვინაიდან მათ ჰქონდათ საშუალება, უშუალოდ გაცნობოდნენ ნატოსა და ევროკავშირის ინსტიტუტების სტრუქტურასა და ფუნქციონირების პრინციპებს, ასევე მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ.

შეხვედრის შემდეგ, პროექტში — „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება პანკისის ხეობის მასწავლებლებისთვის“ წარმატებული მონაწილეობისთვის პედაგოგებს სერტიფიკატები გადაეცათ.

პანკისის ხეობის საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისგან შემდგარი 20-კაციანი ჯგუფის სასწავლო ვიზიტი ბრიუსელში 3-7 თებერვალს შედგა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის სტრუქტურებსა და ნატოს შტაბ-ბინაში, ასევე — ბელგიის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ადგილობრივი განათლების სისტემისა და ამ კუთხით ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით. პროექტის მხარდამჭერია ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.

აშშ-ის კონგრესს წარედგინა სირიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების დამგმობი რეზოლუცია

აშშ-ის **კონგრესს წარედგინა სირიის მიერ საქართველოს რეგიონების —აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების დამგმობი რეზოლუცია. ამის შესახებ რეზოლუციის სპონსორმა, კონგრესმენმა ფრანცის რუნიმ ვაშინგტონში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზალკალიანთან შეხვედრისას განაცხადა. შეხვედრაზე მინისტრმა მადლობა გადაუხადა კონგრესმენს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ რეზოლუციის ინიცირება წარმოადგენს საქართველოსადმი აშშ-ის უპირობო და ძლიერი მხარდაჭერის კიდევ ერთ მკაფიო გამოხატულებას.**

რეზოლუცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერას და გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებას. **„საქართველო აშშ-ის სანდო პარტნიორია მშვიდობისა და დემოკრატიის გასავრცელებლად ევრაზიის რეგიონში“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

„ვგმობთ რუსეთის ფედერაციის ვასალი სახელმწიფოს („client state“) — სირიის არაბული რესპუბლიკის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას“ — აღნიშნულია რეზოლუციაში. რეზოლუცია ხაზს უსვამს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს მიერ გაწეულ მნიშვნელოვან წვლილს და ევრაზიის კონტინენტზე მშვიდობის გავრცელებისა და დემოკრატიის უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს საიმედო პარტნიორობას. კონგრესმენი რუნის განმარტებით, „საქართველო აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი მოკავშირეა ევრაზიის კონტინენტზე.“

მამუკა ბახტაძემ კასპის ცემენტის მოდერნიზებული ქარხანა დაათვალიერა

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ქარხანა კიდევ ერთი გზავნილია საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება არის დაცული. პრემიერ-მინისტრის თქმით, ობიექტი საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი სტიმულის მიმცემი იქნება.

„კასპში ცემენტის წარმოებას დიდი ტრადიცია აქვს და ჩემთვის საესიხარულოა, რომ აქ ახალ თანამედროვე ხაზს ვხსნით. საქართველოში ცემენტის წარმოება ყოველთვის ტრადიციული ინდუსტრია გახლდათ და ჩვენ გვჭირდებოდა ახალი ტექნოლოგიები, იმისათვის, რომ ეს სექტორი კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი ყოფილიყო“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

კომპანია „ჰაიდელბერგცემენტმა“ კასპის ცემენტის ქარხნის სრული მოდერნიზაცია მოახდინა და კლინკერის ახალი საწარმოო ხაზი გახსნა. ქარხნის მოდერნიზაციის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები 2016 წლის სექტემბერში დაიწყო და მის განსახორციელებლად 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია გამოიყო. პროექტი საქართველოს თანაინვესტირების ფონდისა და კომპანია „ჰანიველ პარტნერსის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა უმაღლესი სტანდარტის ფილტრაციის სისტემა და ემისიების მუდმივი მონიტორინგის სპეციალური აპარატურა, რომლის საშუალებითაც საწარმო მტვრისა და გამონაბოლქვის რაოდენობის გაკონტროლება ონლაინ რეჟიმში იქნება შესაძლებელი.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე პრეზიდენტ ტრამპს შეხვდა

7 თებერვალს **თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა ქალთა გლობალური განვითარებისა და წარმატების ინიციატივას. ინიციატივის საწყისი ფონდი 50 მილიონი აშშ დოლარია. ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძეც დაესწრო.**

ნინო ზამბახიძემ პრეზიდენტ ტრამპს უამბო, თუ როგორ შეცვალა ამერიკულმა გრანტმა მისი ცხოვრება წარმატებისკენ. ქართველმა სტუმარმა პრეზიდენტს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის მადლობა გადაუხადა.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოქმედი სისტემა უნდა შეიცვალოს!

ჩვენი **აზრით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოქმედი სისტემა უნდა შეიცვალოს. მეცხრე კლასიდან სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებშიც უნდა იწყებოდეს სამხედრო მომზადების სწავლება,** — ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა საპარლამენტო სესიაზე მოხსენებისას განაცხადა განათლების რეფორმის საკითხზე „საქართვლოს პატრიოტების“ ხედვის წარდგენისას.

„ამ საგანს უნდა დაეთმოს კვირაში 1 დღე. სამხედრო მომზადების სწავლება უნდა გრძელდებოდეს მე-10, მე-11, მე-12 კლასებში, ასევე, 2-წლიანი ზოგადი უმაღლესი განათლების კურსის ფარგლებშიც! მაგრამ სამხედრო სწავლების ეს კურსი საკმარისად უნდა ჩაითვალოს, რომ ახალგაზრდამ მიიღო პირველადი სამხედრო განათლება და აღარ უნდა იყოს საჭიროება წვევამდელების მოქმედი სისტემის. საერთოდაც ჩვენი ტიპის ქვეყანა უნდა გადავიდეს პროფესიული არმიის სისტემაზე“, — თქვა ინაშვილმა.

ეკა ბესელია მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის გადადებას ითხოვს

ეკა ბესელია მმართველ პარტიას მიმართავს და მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის, 2025 წლამდე გადადებას ითხოვს. დეპუტატის თქმით, თუ პარლამენტი 2025 წლამდე არ შეაჩერებს მოსამართლეთა დანიშვნას, მაშინ ეს იქნება ახალი გამოწვევა და მიზეზი, რომ გუნდი მან და საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე წევრმა, მათ შორის, გედევან ფოფხაძემაც დატოვოს.

„შემდეგი გადაწყვეტილებაც და ნაბიჯიც იყოს არა ემოციური და გაბრაზებული გადაწყვეტილება, არამედ გათვლილი მომავლის შედეგზე... ეს დრო, რაც ჩვენ ავიღეთ, საჭიროა იმისთვის, რომ საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ, სად ვაგრძელებთ და ვისთან ერთად ვაგრძელებთ ბრძოლას იმ ღირებულებებისთვის, რომელზეც მე პირადად უარი არასდროს არ მითქვამს. გამოვრიცხავ, რომ სადმე გადავიკარგო და დავიმალო, გამოვრიცხავ, რომ სადმე გავუჩინარდე და ვერ მიპოვოთ, გამოვრიცხავ, რომ ბრძოლა შევწყვიტო და გავჩერდე, გამოვრიცხავ, რომ ეს ღირებულებები შევიცვალო,“ — ამბობს ეკა ბესელია.

კახა კახიშვილი ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს შეხვდა

საქართველოს **მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი კახა კახიშვილი ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა იმ პროექტების შესახებ ისაუბრეს, რომლებიც საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება. კახა კახიშვილმა ევროკავშირის საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მაღალ მაჩვენებელს გაუსვა ხაზი. მისი თქმით, საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს და ევროპული პრინციპების დანერგვას ისახავს მიზნად.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ადამიანის უფლებების მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს ეფექტიანობის გაზრდისთვის აუცილებელია ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერება.

ფოთის ტერმინალი: წმინდა ეკონომიკური პროექტი თუ ანაკლიის მშენებლებთან ანგარიშსწორება?

რამდენიმე დღის წინ საქართველოს მთავრობამ საკმაოდ პომპეზურ ვითარებაში დააანონსა ფოთის პორტში ახალი ტერმინალის მშენებლობა, რისთვისაც აშშ-ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციამ (OPIC) 15-წლიანი სესხის სახით 50 მილიონი დოლარი გამოყო. როგორც ირკვევა, პროექტით ფოთის ნავსადგურის ფსკერის დაღრმავებაა გათვალისწინებული.

არადა, ბოლო დრომდე საქართველოში პირველ და მთავარ ღრმაწყლოვან პორტად ანაკლია ანონსდებოდა. ამ უკანასკნელის მშენებლობა 2017 წლის დეკემბერში დაიწყო. სამუშაოებს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ აწარმოებს, რომლის დამფუძნებლები არიან ცნობილი ამერიკული დეველოპერული კომპანია Conti International LLC, ასევე ქართული TBC Holding, რომელსაც, მოარული ხმების მიხედვით, სერიოზული უთანხმოებები აქვს მმართველი პარტიის ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან. არაერთი დამკვირვებლის აზრით, ფოთის აკვატორიის სიღრმის გაზრდის გადაწყვეტილებისა და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან კერძო პროექტის ლობირების უკან სწორედ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი შეიძლება იდგეს. გასათვალისწინებელია ექსპერტების ის მოსაზრებაც, რომ ანაკლიის პროექტის განხორციელებას ყოველმხრივ ეწინააღმდეგება რუსეთი.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია ირწმუნება, რომ ივანიშვილთან დაკავშირებული „ინსინუაციები უსაფუძვლოა“ და რომ ერთი პორტი მეორეს ხელს არ შეუშლის:

„ჩემი აზრით, საქართველოს სატრანზიტო ქვეყნის იმგვარი პოტენციალი აქვს, რომ ტვირთები ფოთსაც ეყოფა და ანაკლიასაც. მთავარია, ჩვენი სატრანზიტო დერეფნების კონკურენტუნარიანობა ავამაღლოთ, რაც მხოლოდ პორტებზე არ არის დამოკიდებული. ეს კომპლექსური ამოცანაა, რომლის გადასაჭრელადაც ამჟამად ვმუშაობთ. იგი მოიცავს როგორც ჩვენს პორტებს, ისე რკინიგზას, საზღვრებს (სასაზღვრო გადასასვლელებს), ურთიერთობებს ჩვენს პარტნიორებთან“.

ეკონომიკის მინისტრის ეს განცხადება „ბუნდოვნად“ ეჩვენება „სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის“ დამფუძნებელს, HUB Georgia-ს ექსპერტ პაატა ცაგარეიშვილს.

როგორც მან „აქცენტთან“ საუბრისას განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული პორტები სადღეისოდ კერძოა ან იჯარით არის გაცემული, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ზუსტი ხედვა გამოხატოს მათ ფუნქციებთან დაკავშირებით, რათა შიდა კონკურენცია თავიდან იქნას აცილებული: **„როდესაც რეგიონში, დაახლოებით 100 კმ-იან აკვატორიაში სამი კონკურენტი ნავსადგური იქმნება, წარმოუდგენელია, მათ შორის კონკურენცია არ იყოს. კლიენტს არჩევანი ეძლევა. ჩვენ გვაქვს უკრაინის გამოცდილება: იქ ანალოგიურად 5-6 ნავსადგურია (ოდესის, მარიუპოლის და ა.შ.) ჩამწკრივებული და სახელმწიფო ძალიან მყარად იცავს პრიორიტეტს, თითოეული მათგანს თავისი ფუნქცია გააჩნდეს, რათა შიდა კონკურენცია გამოირიცხოს“.**

ამასთან, ექსპერტს წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, ფოთის პორტში მსხვილი ინვესტორების გამოჩენის მოლოდინი არა აქვს. იგი იხსენებს, რომ ფოთის ნავსადგურში ანალოგიური პროექტების განხორციელების მცდელობა სამჯერ (1998, 2006, 2014 წლებში) იყო, მაგრამ არაფრით დასრულდა. და ეს მაშინ, როცა ტვირთნაკადები იზრდებოდა, სადღეისოდ კი საწინააღმდეგო ტენდენციაა.

ამის გათვალისწინებით, ცაგარეიშვილს უჩნდება კითხვა, „ხომ არ გამოიყენება ფინანსურად ტევადი ეს პროექტი ანაკლიის პოლიტიკურ საპირწონედ?“:

„მე ირიბად ვხედავ საშიშროებას, მოხდეს ანაკლიის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის ჩაძირვა: სახეზეა უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირება; რუსეთი ეძებს ალტერნატივას, ცდილობს, ცენტრალური აზიის მიმართულებით ტვირთნაკადი არ დაკარგოს. გასაგებია, რომ „ჩაძირვის“ სხვადასხვა მეთოდი არსებობს და არ არის აუცილებელი, ტყვიების დაშენაზე იყოს საუბარი“.

ამასთან, როგორც ცაგარეიშვილი აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ ფოთის პორტთან დაკავშირებით დაანონსებული პროექტი რეალურად განხორციელდა, ის ანაკლიის პორტთან რეალურ კონკურენციაში ვერ შევა:

„ფოთის პორტის შემთხვევაში საუბარია ნაყარი ქიმიური ტვირთების გადამუშავებაზე, ხოლო ანაკლიის პორტის შემთხვევაში საკონტეინერო ტვირთებზე კეთდება აქცენტი. ამიტომ ძალიან ხაზგასმით შეიძლება, აღინიშნოს, რომ ფოთის ნავსადგური ეძებს თავის ნიშას. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ფოთის ნავსადგურსაც აღრმავებენ, მაგრამ რთულად წარმოსადგენია, მან ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს გაუწიოს კონკურენცია, რადგან ფოთის შემთხვევაში საუბარია 12 მეტრამდე დაღრმავებაზე, ანაკლიის შემთხვევაში კი — 18-19-21 მეტრამდე“.

ცაგარეიშვილის ხედვით, ანაკლიის პორტი კონკურენციაში არა ადგილობრივ, არამედ რეგიონში არსებულ მძლავრ პორტებთან უნდა შევიდეს:

„ანაკლიის პორტის კონკურენტები არიან ბალტიის ნავსადგურები, ოდესის ნავსადგური უკრაინაში, ბანდერაბასი ირანში, მერსინი თურქეთში, უსტ-ლუგა რუსეთში. ამ ნავსადგურებთან კონკურენტულ ბრძოლაში მან თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს. რა თქმა უნდა, ეს ბრძოლა რთულია, მაგრამ არსებობს გარკვეული წინაპირობები, თუნდაც რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური დაპირისპირება, ირანის ნავსადგურის მიმართ სანქციები, რაც ყოველგვარი დამატებითი ღონისძიებების გარეშე აძლევს ანაკლიის პორტს უპირატესობებს და ამის გამოყენება აუცილებელია“.

რაც შეეხება ადგილობრივ პორტებს, ექსპერტი კონკურენტუნარიანობის კუთხით მათ ნიშას ასე ხედავს:

„ბათუმის ნავსადგურისთვის ყველაზე სტაბილური ტვირთია შაქარი, მინერალური სასუქები, კარბამიდი. რაც მთავარია, ბათუმის ნავსადგური უნდა ეცადოს, დაიბრუნოს არა ნედლი ნავთობი, არამედ ნავთობპროდუქტები, რომლისთვისაც ინფრასტრუქტურა გაჩნია. ფოთის ნავსადგურის მიმართულება უფრო ხორბლის გადამუშავება, პაკეტირებული, შეკრული ტვირთები, ლითონის რულონები, ქიმიური ტვირთებია, ხოლო ანაკლიის პორტისა — ერთმნიშვნელოვნად საკონტეინერო გადაზიდვები, მანქანა-დანადგარები, მსხვილტონაჟიანი მილები და ა.შ.“.

„მექანიზატორის“ ზარალი 22 მილიონ ლარს აღემატება

სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფოს კუთვნილი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „მექანიზატორი“ ზარალიანია. „მექანიზატორის“ ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ფინანსური ანგარიშგებიდან ირკვევა. 2017 წელს ზარალმა — 22,061,022 ლარი, ხოლო 2016 წელს კი 25,597,475 ლარი შეადგინა.

შპს „მექანიზატორი“ 2009 წელს შეიქმნა. მის საკუთრებაშია ათობით ტრაქტორი და კომპანია. საწარმოს მთავარი დანიშნულება აგრარული სექტორის საჭირო ტექნიკითა და მექანიზაციით მომსახურებაა. კომპანიის დაფუძნების იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ რადგან საქართველოში მიწის მესაკუთრეების უმეტესობას მიწის მცირე ნაკვეთები აქვთ სარგებლობაში და მსხვილი ტექნიკის შეძენის რესურსები არ გააჩნიათ, საქართველოს ხელისუფლებას შეექმნა მსხვილი კომპანია, რომელსაც სხვადასხვა რეგიონში ექნებოდა განთავსებული მექანიზაცია. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამით, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობდა ხელს, მეორე მხრივ კი, თავად კომპანიაც, მომგებიანი იქნებოდა. როგორც ირკვევა, კომპანია მომგებიანობისგან შორს არის და მის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, მთლიანი ხარჯების 30%-საც ვერ ფარავს.

„მემკვიდრეობად მივიღეთ არაეფექტური და წარუმატებელი საწარმოები, მათ შორის კომპანია „მექანიზატორი“ და ბევრი სხვა, რომლებიც აგრარული სფეროს განვითარების პოლიტიკას ვერ პასუხობენ,“ — ამბობს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი.

მთავრობა არ უარყოფს, რომ კომპანიის მომგებიანად მართვა არ გამოსდის. სწორედ ამიტომ, ამ კომპანიის პრივატიზაცია იგეგმებოდა, თუმცა საბოლოოდ მთავრობის კუთვნილ ტრაქტორებს ახალი მფლობელი ვერ გამოუჩნდა.

„ყაზტარნსგაზ თბილისი“ გამოვლენილი ე.წ. მკვლელი დანადგარებისა და დარღვევების სტატისტიკას აქვეყნებს

„ყაზტარნსგაზ თბილისი“ დედაქალაქის მასშტაბით გამოვლენილი ე.წ. მკვლელი დანადგარებისა და დარღვევების სტატისტიკას აქვეყნებს. „ყაზტარნსგაზ თბილისი“, მოქმედებს რა არსებული კანონმდებლობისა და მარეგულირებელი დოკუმენტების ფარგლებში, სისტემატურად ატარებს სარევიზიო სამუშაოებს მომხმარებელთა კერძო საკუთრების ტერიტორიებზე. შედეგები, რაც არაერთხელ გვითქვამს, სავალალოა. ძალიან ბევრ თბილისელს აქვს სახლში №მკვლელი დანადგარი“, აცხადებენ კომპანიაში.

„ყაზტარნსგაზ თბილისის“ მიერ 2018 წელს ჩატარებული რევიზიების შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა, თუ რამდენ მოქალაქეს აღმოუჩინეს სიცოცხლისათვის საშიში მოწყობილობები და გაზზე დაერთების ხარვეზები, ასეთია:

გლდანი-სანზონა-თემქა 10341;
დიღომი-დიდუბე 5148;
ვაკე-წყნეთი 499;
ისანი-ვაზისუბანი 10871;
მთაწმინდა-კრწანისი 7573;
ნუცუბიძე 1151;
საბურთალო 3627;
სამგორი 1465;7
ჩუღურეთი-ნაძალადევი 15266.

2018 წლის სტატისტიკა ჯამში: დარღვევის 69133 შემთხვევა!!!

„საკუთარ და სხვის უსაფრთხოებაზე ყველამ თანაბრად უნდა ვიზრუნოთ! თითოეულმა მოქალაქემ უნდა ისარგებლოს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ უფასო სერვისით და იცხოვროს უსაფრთხოდ? განმარტავენ „ყაზტარნსგაზ თბილისში“.

ბამბის რიგი ისტორიულ ფუნქციას იბრუნებს - კომერციულ ფართობებს ქართველი დიზაინერების მაღაზიები ანაცვლებს

როგორც „კომერსანტს“ „მეიდან ჯგუფში“ განუცხადეს, ქუჩაზე განთავსებული კომერციული ფართების ძირითადი ნაწილი კაფე-ბარების ნაცვლად უკვე სხვადასხვა ქართველი დიზაინერების მაღაზიებმა ჩაანაცვლა.

როგორც ჩვენთან საუბრისას „მეიდან ჯგუფის“ მარკეტინგის მენეჯერი ნათია ცეცხლაძე აცხადებს, ჩანაცვლების პროცესი ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს. მისი თქმით, ეს „მეიდან ჯგუფის“ მიერ შემუშავებული ახალი კონცეფციაა, რათა ბამბის რიგს უძველესი იერსახე დაუბრუნდეს და ადგილზე კვლავ მხოლოდ ქართული ტანისამოსი და აქსესუარები გაიყიდოს.

„მიუხედავად იმისა, რომ ფართებზე კაფე-რესტორნების მიმართულებით დიდი მოთხოვნა იყო, ჩვენ ახალი კომპანიების მიღებაზე უარს ვაცხადებდით და მხოლოდ ქართველ დიზაინერებს ვუცხადებდით თანხმობას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბამბის რიგის ერთი მხარე, რომელიც ქუჩაზე ჩვენ გვეკუთვნის, 100%-ით ქართველი დიზაინერების მაღაზიებით და შოურუმებით მოეწყო.

თბილისის ამ უნიკალური არქიტექტურისა და მდებარეობის ქუჩაზე გაზაფხულიდან ქართველი დიზაინერების ჩვენებებიც გაიმართება,“ — განაცხადა **ნათია ცეცხლაძემ.**

კომპანიის მარკეტინგის მენეჯერის თქმით, ადგილმდებარეობა კომერციულად მომგებიანია, სადაც ნებისმიერი სახის ბიზნესი მარტივად განვითარდება, ამიტომ ჩანაცვლების პროცესს ფინანსური პრობლემები არ შეუქმნია.

„კომერსანტის“ კითხვაზე კონცეფციის შეცვლა წარსულში ადგილზე არსებული კომერციული ფართების ფასის გაზრდას ან გაყიდვების კლებას ხომ არ გამოუწვევია?

ნათია ცეცხლაძე აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ახალი კონცეფციის ნაწილია და კომპანიას კომერციული ინტერესები არ აქვს. ამ ეტაპზე ბამბის რიგზე წარმოდგენილია შემდეგი ქართველი დიზაინერების მაღაზიები: აკა ნანიტაშვილი, ქეთი ჩხიკვაძე, თამუნა ინგოროყვა, დიანა ქვარიანი, შოუ-რუმი „ქაბინ“, თამარა ხოშტარია და ირინა თოიძე, ასევე თეო გარდაფხაძე.

„მეიდან ჯგუფი“ უძრავი ქონების მართვისა და განვითარების კომპანიაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. კომპანიის ძირითადი მიზანი თბილისის ძველ უბნებში ინვესტიციის განხორციელებაა, რათა მათი ტრადიციული იერსახე არ დაიკარგოს.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

2019 წლის იანვარში საქართველოში ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 305,939 შეადგინა, რაც 17,061-ით მეტია 2018 წლის იანვრის მაჩვენებელზე (ზრდა (5.9%).

ზამთრის ტურიზმთან დაკავშირებით „კომერსანტმა“ ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან გამოითხოვა.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად, იანვარში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან: პოლონეთი +130.5%, ჩეხეთი +96%, ესპანეთი +65.1%, ლატვია +63.5%, გერმანია +46.6%, ლიეტუვა +40.8% და სხვა.

განსაკუთრებული ზრდა აღირიცხა შემდეგი ქვეყნებიდან: უზბეკეთი +217.1%, ისრაელი +132.1%, ყირგიზეთი +112%, ჩინეთი +72.8%, საუდის არაბეთი +72.7% და სხვა.

ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით 2018 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 3,2 მილიარდი დოლარს (ზრდა +18.4%), რაც 498 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2018 წლის I-III კვარტალის მდგომარეობით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 2,571 მილიონ დოლარს (ზრდა +20.5%), რაც 437 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2017 წლის ჯამური მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 2.7მილიარდ (2,704,339,872) დოლარს (ზრდა +28.1%), რაც 594 მილიონი დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წლის I-III კვარტალის მონაცემებით შეადგენს 7.6%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +19%-ია.

2017 წლის ჯამური მონაცემებით წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 6.8% შეადგინა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +11.5%.

ᲚᲘᲙᲐ ᲒᲣᲠᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი ანდრო ასლანიშვილი, სააგენტოს სპეციალისტებთან და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ავტომატური სადგურის სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო.**

სადგურის საშუალებით ატმოსფერულ ჰაერში განისაზღვრება ნახშირჟანგის (CO), აზოტის ოქსიდების (NOx, NO, NO2), გოგირდის დიოქსიდის (SO2), მიწისპირა ოზონისა (O3) და მტვრის სხვადასხვა ფრაქციების შემცველობა.

ავტომატური სადგურიდან მიღებული მონაცემები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ ახალ პორტალზე — http://air.gov.ge აისახება.

ახალი პორტალი — http://air.gov.ge უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხთან და მონიტორინგთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ერთიან სივრცეში, ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობას, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით ღონისძიებების დაგეგმვას და გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას.

ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲘᲐ...

ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ **დასკვნაში მითითებული პრობლემები ძირითადად იყო მემკვიდრეობითი — აცხადებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი აუდიტის სამსახურის ანგარიშის კომენტირებისას.**

ანგარიშის თანახმად, თავდაცვის სამინისტროში, არასაკმარისი ფინანსური რესურსის გამო, რომელიც ამ კომპონენტისთვის არის გამოყოფილი, ვერ ხდება სამხედრო მოსამსახურეების უნიფორმით სრულად უზრუნველყოფა.

მინისტრის მოადგილემ გუშინ ჟურნალისტებს უნიფორმები დაათვალიერებინა და აღნიშნა, რომ ქართული ჯარი 2018 წლიდან და შემდგომ წლებში იქნება სრულად უზრუნველყოფილი ფორმებით.

ᲨᲡᲗ-Ს ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲠᲔᲟᲘᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ

ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ **სააგენტოს გადაწყვეტილებით, მართვის მოწმობის C, D და E კატეგორიების შეცვლის მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, სააგენტოს ყველა სერვისცენტრი 8 თებერვლიდან 1 მარტამდე მუშაობის სპეციალურ რეჟიმზე გადადის.**



მართვის მოწმობის შეცვლის მსურველთათვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სამუშაო საათების რაოდენობა დღეიდან გაიზრდება და ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყველა სერვისცენტრი იმუშავებს ყოველდღე — 09:30 საათიდან 20:00 საათამდე, ხოლო შაბათს - 09:30 საათიდან 18:00 საათამდე.

2014 წლის 1 მარტამდე გაცემული C, D და E კატეგორიის და ქვეკატეგორიის მართვის მოწმობების მოქმედების ვადა კანონით 2018 წლის 1 სექტემბრამდე განისაზღვრა, თუმცა ვადის ამოწურვამდე რამდენიმე თვით ადრე, მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მომსახურების სააგენტომ 6 თვით გაახანგრძლივა.

აღსანიშნავია, რომ მართვის მოწმობების შეცვლის ვადებთან დაკავშირებით, სხვადასხვა საინფორმაციო არხის საშუალებით, მომსახურების სააგენტომ არაერთხელ მოახდინა მოქალაქეთა ინფორმირება და არაერთი საინფორმაციო კამპანია ჩაატარა. მათ შორის, ყველა ფიზიკურ პირს, რომლის სახელზეც ირიცხება აღნიშნული კატეგორიის მართვის მოწმობა, კუთვნილი მობილურის ნომერზე გაეგზავნა პირადი შეტყობინება. ასევე, ყველა იურიდიულ პირს, რომლის მფლობელობაშიც იყო აღნიშნული კატეგორიების შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებები, გაეგზავნა ოფიციალური წერილი.

მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების სააგენტოს სერვისცენტრებში ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მართვის მოწმობები ყოველდღიურ რეჟიმში იცვლებოდა, მომართვიანობა მკვეთრად გაიზარდა ბოლო დღეებში, რის გამოც სააგენტო მუშაობის სპეციალურ რეჟიმზე გადადის. აქვე გვსურს შეგახსენოთ, რომ ცვლილება არ ეხება B კატეგორიის მართვის მოწმობებს. ასევე, იმ მოქალაქეებს ვისაც BC, BD,BCD კატეგორიები და ქვეკატეგორიები აქვთ და ამ ეტაპზე მხოლოდ B კატეგორიით სარგებლობენ.

ამ მოქალაქეებს მართვის მოწმობის გამოცვლა 1 მარტის შემდეგაც უგამოცდოდ შეეძლებათ.

ისლამური რევოლუციის მეორმოცე წელს ზეიმობს ახლო აღმოსავლეთისა და მსოფლიოს 80-მილიონიანი, მძლავრი ქვეყანა, რომლის პატარა, საშუალო თუ დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო ნაბიჯი უმალ ხდება ძლიერთა ამა ქვეყნისა და ნაკლებად ძლიერთა დაფიქრებისა და კამათის საგანი.

ირანის ისლამური რესპუბლიკა ის ქვეყანაა, რომელიც განვლილი 40 წლის განმავლობაში მუდამ იწვევდა სიმპათიას მის მიმართ ლოიალურად განწყობილ მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში, შიშს და, აქედან გამომდინარე, მოკრძალებას, ნაკლებად ლოიალურად, მტრულად განწყობილ მეზობლებსა და შორეულ ქვეყნებში.

ირანის ისლამური რესპუბლიკა უდავოდ ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა, რაც არაერთხელ დადასტურდა 1979 წლის თებერვლის რევოლუციიდან დაწყებული დღემდე.

ორმოცი ნაბიჯი – წინ!

„დიადი ისლამური რევოლუცია წარმოადგენს მილიონობით ძვირფასი ადამიანის, ათასობით ცოცხალი წამებულისა და დასახიჩრებულის მონაპოვარს, ანუ მარად ცოცხალ მოწამეთა მონაპოვარს, ვინც მილიონობით მუსლიმისა და მსოფლიოს ჩაგრულთა იმედია... მე, რუჰოლა მუსავი ხომეინი, ღვთის წყალობის მოიმედე და შეცდომათაგან დაუზღვეველი... ვითარცა უმნიშვნელო სემინარისტი, რომელსაც ისევე, როგორც სხვა ერთმორწმუნე ძმებს, მწამს ამ რევოლუციისა, მისი მონაპოვრის დაცვისა და მისი მიზნების ცხოვრებაში განხორციელებისა...“ – წერდა აიათოლა რუჰოლა მუსავი ხომეინი უკანასკნელ ეპისტოლეში – პოლიტიკურ-რელიგიურ ანდერძში, გარდაცვალებამდე (1989 წლის 3 ივნისი) რამდენიმე დღით ადრე.

ძნელად მოიპოვება ქვეყანა დედამიწის ზურგზე, რომელსაც უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ენით აუწერელი იმ რაოდენობის ხიფათი, ომები, ტერორისტული აქტები, ეკონომიკური სანქციები შეხვედროდეს, როგორც ირანის ისლამურ რესპუბლიკას და, მიუხედავად ამისა, მან გაუძლო გამოწვევებს, თავი გაართვა პრობლემებს და მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ჯეროვანი ადგილი დაიმკვიდრა, რითაც თვალნათლივ დაანახა სამყაროს დიდი ხომეინის ანდერძის შესრულებისთვის განუხრელი თანმიმდევრულობა.

ა.წ. 10 იანვარს ირანის ექსპრეზიდენტის ალი აქბარ ხაშემი რაფსანჯანის გარდაცვალებიდან მეორე წლისთავზე სიტყვით გამოსვლის დროს პრეზიდენტმა ჰასან როუხანიმ განაცხადა: „ირანის ეკონომიკა არათუ სუნთქავს, არამედ სწრაფად ვითარდება. მას კარგი პერსპექტივა აქვს. როდესაც ეკონომიკა არ ვითარდება, ხალხი იზოგავს ფულს, რომ ცუდი პერიოდი გადაიტანოს. უახლოეს მომავალში ირანი ორბიტაზე ორ ახალ თანამგზავრს გაიყვანს. ირანის კოსმოსური პროგრამა სტაბილურია და თეირანს აძლევს სტიმულს, დახარჯოს ფული, ეროვნული კოსმიური პროგრამის განვითარებისთვის“.

საყურადღებოა ბირთვული ენერგიის საკითხებში ირანის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ალი აქბარ სალეხის განცხადება – რომ ჩატარდა პირველი ცდები ისეთი საწვავის მისაღებად, რომელიც ურანის 20%-იან გამდიდრებას ხელს შეუწყობს. ახალი საწვავი უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ის, რომელიც თეირანის ბირთვულ რეაქტორში იყო გამოყენებული.

სალეხის სიტყვებით, ირანმა ბირთვულ კვლევებსა და მრეწველობაში ისეთ პროგრესს მიაღწია, რომ ნაცვლად „რევერსინჯინერინგისა“ შეძლებს ახალი საწვავის ამოქმედებას. თეირანის ბირთვული რეაქტორი ადრე ძველ საწვავზე მუშაობდა. ახალი კონსტრუქცია 20%-იანი საწვავისთვის აამაღლებს ამ რეაქტორის ეფექტიანობას.

სალეხის ნათქვამი უდავოდ დასტურია იმისა, რაოდენ წინ წაიწია სამეცნიერო კვლევებმა არა მარტო ბირთვული პროგრამის ათვისება-განვითარების დარგში, არამედ კოსმოსისა და რაკეტწარმოების სფეროში.

და ყოველივე აღნიშნული იმ ეკონომიკური სანქციებისა თუ სხვა გამოწვევების ფონზე, რასაც ადგილი აქვს ირანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. წამით დავუშვათ დაუშვებელი და წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი – ირანის წინააღმდეგ განხორციელებული ყველა შეტევის – პოლიტიკურის, ეკონომიკურის, სამხედროს არარსებობა, რა განვითარებას ექნებოდა ადგილი ამ ქვეყანაში?

ირანი ერთ-ერთი, შესაძლოა, ერთადერთი სახელმწიფოა რეგიონში, რომელსაც აქვს განვითარებული სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა; ჰყავს განსწავლული კადრები აღნიშნული დარგებისთვის, შესაბამისად აქვს განვითარებული განათლების სისტემა, მეცნიერება. ირანის პროგრესი სამედიცინო სფეროში ცნობილია რეგიონში და არა მარტო.

ირანის პოლიტიკური სისტემა მყარი და მოქნილია და შორს არის იმ შავი PR-ისგან, რასაც ადგილი აქვს დასავლურ მედიაში. ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები და ექსპერტები ხშირად აძლევენ თავს უფლებას, ნეგატიურად მოიხსენიონ ირანის პოლიტიკური სისტემა. დასავლელი „კოლეგების“ მოსაზრების გაზიარებად უნდა შეფასდეს ყოფილ საბჭოთა სივრცეში გამოთქმული განცხადებები, რომლებიც თავისი სიმწვავით ტოლს არ უდებს დასავლურს.

სულ ახლახან მსოფლიო გააკვირვა სომხეთის ახალი პარლამენტის, საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის წევრის ჰაიკ კონჯორიანის ნათქვამმა – „ირანი ავტორიტარული“ სახელმწიფოა, რომ სომხეთი შემორტყმულია არადემოკრატიული ქვეყნებით, გარდა საქართველო-ისრაელისა. პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ სომხეთი დასავლეთთან დასავლურ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს და ეს ენა – დემოკრატიაა.

კონჯორიანის განცხადება არვის გაუკვირდებოდა, ის, რომ სხვა ქვეყნის, სხვა პარლამენტის წევრი ყოფილიყო, მაგრამ კონჯორიანი სომხეთის პარლამენტის წევრია, იმ ქვეყნის, რომელიც ყოველთვის ხმამაღლა აცხადებდა სომხეთ-ირანის ურთიერთობების ურყევობაზე, ორ ქვეყანას შორის უნაოჭო კავშირებზე. როგორც ჩანს, აშშ-ის „დემოკრატიულმა“ ხელმა შორეულ სომხეთში მოძებნა ხელშესახები, მისთვის საიმედო დასაყრდენი ახალი ხელისუფლების სახით.

სომხი პარლამენტარის განცხადებამ მწვავე რეაქცია გამოიწვია ირანში. განცხადება, რომელიც თეირანში გაკეთდა, ასეთია: **„პროისრაელური, პროამერიკული მოღვაწეები სომხეთის პარლამენტში იგნორირებას უკეთებენ იმას, რომ ირანი არის რეგიონის არცთუ ბევრ ქვეყნებს შორის ის ქვეყანა, სადაც ხელისუფლების ცვლა ხდება ჩვეულებრივი არჩევნების დროს, „ხავერდოვანი რევოლუციების“, სისხლისღვრის გარეშე. სომხეთის პარლამენტში მოკალათებული პროისრაელური, პროამერიკული მოღვაწეები იგნორირებას უკეთებენ იმასაც, რომ ირანი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სომხურ თემს კონსტიტუციით განმტკიცებული, გარანტირებული ადგილები უკავია ირანის პარლამენტში“.**

სომხეთის პარლამენტარის განცხადება სულაც არ არის „წამოცდენის“ შედეგი, როგორც თვითონ განმარტა – ეს მარტივი დახასიათებაა „ახლების“ პროამერიკული კურსისა, თუმცა როგორ უნდა განახორციელოს მან ეს, მჭიდროდ ინტეგრირებულმა დსთ-ს და „ოდკბში“ – გამოცანაა. ამერიკელთა წყალობით რამდენ ასეთ გამოცანას ჰქონდა ადგილი ბოლო წლების განმავლობაში?

მარტო 2008 წლის ცხინვალის ომი რად ღირს ანდა უკრაინის მაიდანი, რომელსაც ერთი სისხლის და ხორცის ისეთი დატაკება მოჰყვა, უარესს რომ ვერვინ იფიქრებდა რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებში.

ირანის როლი რეგიონში განუზომელია, რაც თვალნათლივ გამოჩნდა სირიაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ირანმა უდიდესი წვლილი შეიტანა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენის შემცირებაში სირიაში, ერაყში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ირანი ფრონტის წინა ხაზზეა, ეხმარება რა სირიის ლეგიტიმურ ხელისუფლებას ტერორისტების განდევნა-განადგურებაში, რითაც აღიზიანებს აშშ-ს და მის მოკავშირეებს. აქედან გამომდინარე აშშ ცდილობს, გადადგას ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ნაბიჯები ირანის წინააღმდეგ. პრეზიდენტი ტრამპი, რომელიც 2 წელიწადზე მეტია მკვეთრ ანტიირანულ განცხადებებს აკეთებს, ძაბავს არა მარტო ორი ქვეყნის ისედაც დაძაბულ ურთიერთობას, რითაც აშკარად ემუქრება ახლო აღმოსავლთის სუსტ მშვიდობას.

ტრამპის გადაწყვეტილება სირიიდან ჯარის გამოყვანის თაობაზე დასავლელმა ექსპერტებმა შესაბამისად შეაფასეს, აღნიშნეს რა, რომ ეს ქვეყანა ემზადება ირანთან საომარი მოქმედებების დასაწყებად. ის ვერ იომებს ორ ფრონტზე სირია-ირანში, ამიტომ სამხედრო ძალების კონცენტრაციას მხოლოდ ირანის წინააღმდეგ მოახდენს.

გასული წლის ბოლოს ამერიკული გაზეთი „Wall Street Journal“ წერდა, თუ როგორ მოითხოვა აშშ-ის პრეზიდენტის ეროვნული უშიშროების საკითხებში თანაშემწე ბოლტონმა პენტაგონისგან დასკვნა, როგორ განახორციელებს ის და რა შედეგებს მოიტანს ირანის წინააღმდეგ სამხედრო აგრესია.

გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საუდის არაბეთთან ერთად შექმნეს არაბული სახელმწიფოების ანტიირანული ბლოკი, რომელიც აშშ-ის და ნატოს მოკავშირე იქნება ირანის წინააღმდეგ ომში. თუმცა ძნელია ვარაუდი იმისა – ჩაერთვება თუ არა ნატო ამ ავანტიურაში, ვინაიდან ნატოს წევრი საფრანგეთი და გერმანია, სხვა ევროპული ქვეყნები მყარად გამოდიან ირანთან ბირთვული შეთანხმების დასაცავად.

შეგახსენებთ – ხელშეკრულება რუსეთს, ჩინეთს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, გერმანიას, აშშ-სა და ირანს შორის 2015 წელს დაიდო, რითაც შეიზღუდა ირანის ბირთვული პროგრამა. მას მისცეს 4.5%-მდე ურანის გამდიდრების უფლება სამეცნიერო და სამედიცინო კვლევებისთვის, ნაცვლად ირანის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გაუქმებისა. მიუხედავად იმისა, რომ მაკონტროლებელმა ორგანო „მაგატემ“ ვერავითარი დარღვევა ვერ აღმოაჩინა ირანის ბირთვულ პროგრამაში, გასულ წლის მაისში აშშ-მა ცალმხრივად გადაწყვიტა ხელშეკრულებიდან გასვლა და აღადგინა სანქციები ირანის წინააღმდეგ.

7 აგვისტოდან ძალაში შევიდა ირანისთვის დოლარის მიყიდვის ან გადაცემის აკრძალვის გადაწყვეტილება, ვაჭრობა ოქროთი და სხვა ძვირფასეულობებით, სამოქალაქო დანიშნულების თვითმფრინავების მიყიდვა და სხვა.

ირანის ბანკები გათიშეს საერთაშორისო საფინანსო SWIFT-ისგან. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კომპანიები სერიოზულად მიუდგნენ სანქციურ დაშინებას აშშ-ის მხრიდან, საერთო ჯამში ევროპა შეეცადა ხელშეკრულების დაცვას და ამისთვის განაცხადა, რომ შეიმუშავებს აშშ-ის მიერ ევროპული კომპანიების წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გვერდის ასავლელ მექანიზმს.

აშშ-ს ხშირად უხდება იმის განცხადება, რომ ეკონომიკური სანქციები მიმართულია არა ხალხის, არამედ ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც სრული აბსურდია. ყველასთვის ნათელია, რა შედეგი მოაქვს სანქციებს – უკმაყოფილება მოსახლეობაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული; დასავლური პროპაგანდით ხალხის ხელისუფლების წინააღმდეგ დარაზმვა, დამხობა და მის ნაცვლად აშშ-სთვის ლოიალური ხელისუფლების მოყვანა.

მეთოდი ძველია – არაერთხელ გამოცდილი არაბულ სამყაროში, პოსტსაბჭოთა სივრცეში (უკრაინა, საქართველო, ამჯერად სომხეთი), თუმცა ირანში ამის გაკეთება გაძნელდება, რამეთუ ირანელები სხვა შემართების ხალხია, რომელსაც კარგად ახსოვს საკუთარი ისტორია და ამ ისტორიაში აშშ-ის აგრესიული ხელის ფათური.

ირანმა 40 წლის წინათ თქვა უარი აშშ-ის ვასალობაზე, რასაც შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის დროს ჰქონდა ადგილი – გადადგა რევოლუციური ნაბიჯი, რამაც ამ ქვეყანას – მსოფლიოში უძველესი ისტორიისა და კულტურის სახელმწიფოს, მისცა ნამდვილი თავისუფლება და სუვერენიტეტი.

ირანი სახელმწიფოთა იმ უაღრესად მცირე ჯგუფს მიეკუთვნება, ვინც ყელმოღერებული არ არის აშშ-ის მიმართ; ვისაც შეუძლია საკუთარი სუვერენიტეტის, საკუთარი მეობის განუხრელი დაცვა. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც ნთვიანი დაგეგმილი პროგრამა – ირანის სამხედრო გემებისთვის ატლანტიკის ოკეანის დასავლეთში ყოფნა და ვენესუელის პორტში შესვლა.

სულ ახლახან „ბლუმბერგი“ აღნიშნავდა: „აშშ-ის სერიოზული პრობლემა ირანის მიმართ სტრატეგიის შემუშავებისას ისაა, რომ მან არ იცის ირანის ისტორია, კულტურა, ირანელთა თვითშეფასება. ვაშინგტონი ირანს რეგიონულ ქვეყნად მიიჩნევს – ბუნებრივი რესურსებით და საკმაოდ დიდი მოსახლეობით, მაგრამ თვით ირანელები სპარსეთის იმპერიის მემკვიდრეებად თვლიან თავს, რომელიც თავისი ძლიერების მწვერვალზე მსოფლიო მოსახლეობის ნახევარს მართავდა. მსოფლიო ისტორია სხვაგვარად რომ განვითარებულიყო, სპარსელებს 2500 წლის წინათ თავისუფლად შეეძლოთ დაეპყროთ ბერძნული ქალაქი-სახელმწიფოები და პოტენციურად წინ აღდგომოდნენ რომის იმპერიის ჩამოყალიბებას“.

თანამედროვე ირანი, მიუხედავად „ბლუმბერგის“ შეფასებისა, ის ქვეყანაა, რომელსაც განვლილი 40 წლის განმავლობაში არც ერთი რეაქციული გამოხდომა არ განუხორციელებია როგორც მეზობლების, ისე სხვა ქვეყნების მიმართ.

ისლამური სახელმწიფო ცდილობს, ყველასთან იქონიოს ნორმალური ურთიერთობა, მაგრამ არა საკუთარი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის შებღალვის ხარჯზე, რაც უდავოდ დასაფასებელია.

„ეგ ლაყბობა ამ ჩვენს დროში გვამყოფინე, უთავბოლო ლაი-როში გვამყოფინე! შენი სიტყვა მიწიერი, ბიწიერი, ყალბი, ფუჭი და რიოში გვამყოფინე! წადი სადმე, ოღონდ თავი დაგვანებე, უთავბოლო ლაი-როში გვამყოფინე!“ – იმამ ხომეინი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„ყველას, ყველაფერს, დიდი ხანია, უკვე სძინავს ხევსურეთის ნაღვლიან მთებში“...



ხევსურეთში დაიბადა და გაიზარდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრა. პარალელურად სწავლობდა თსუ ხელოვნების ფაკულტეტზე. 1985 წლიდან იყო ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი და ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიის განყოფილების გამგე. გაზეთ „ლომისის“ მთავარი რედაქტორი. ამჟამად ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი და საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეა.

გამოსცა ლექსების, თარგმანების, პუბლიცისტური წერილების 13 წიგნი. 2016 წელს გამომცემლობა „მწიგნობარმა“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დასტამბა ლექს-ანდრეზების მისი ახალი კრებული „ხევსურული საგა“. წიგნში გადმოცემულია არაორდინარული, უცნაური ქმედებები მთაში, პოეტი ჯერ კიდევ შემორჩენილ თქმულებებსა და ლეგენდებს მკითხველისთვის ახლებურად აცოცხლებს და საინტერესოდ წარმოაჩენს...

– ბაღათერ არაბულის პერსონა.

– როგორც ეგზიუპერი ამბობს, ჩვენ – ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, რომელიც მარადიული თანამდევი ცნობიერებაა თავისი სილამაზით, უბრალოებით, უშუალობით...

ჩემთვის განსაკუთრებულია ბავშვობის პერიოდი და მარადიულად დარჩა ჩემში. ხევსურეთში დავიბადე, შემდეგ იყო ბარისახოს სკოლა-ინტერნატი...

მაშინ იმ ძველი თემურ-გვაროვნული ცხოვრების საოცარი ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების დაცვის პერიოდი იყო. ახალი ცნობიერების, ახალი ცივილიზაციის შემოსვლისა და ხევსურეთში დამკვიდრების დრო იყო, ყველაფრის წაშლის მცდელობა, რაც მოძველებულად მიაჩნდათ.

ჰოდა, ბავშვობისას, მესმოდა ხევსურული მითები, ლეგენდები, ანდრეზები, სადაც მამაკაცისა და ქალის ურთიერთობები აყვანილი იყო უმაღლეს დონეზე, სადაც სალოცავების, რწმენის ძალა პატრიოტიზმის საოცარ გამოხატულებად მიიჩნეოდა, წარსულის ისტორიული გმირები კი სამაგალითო იყო ჩვენთვის – ახალგაზრდა თაობისთვის, ჩვენ ვიზრდებოდით იმ ლეგენდებზე, მითოლოგიაზე, ანდრეზებზე – მამუკა ქალუნდაურის, ხირჩლა ბაბურაულის, თორღვა ძაგანის...

ისტორიული ცხოვრებისა და გმირობის მაგალითზე.

ჩემი სოფელია მაწმაო, რომლითაც იწყება ხევსურეთი და მთავრდება ფშავი. შუაფხოს შემდეგაა მაწმაო, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა 40 ოჯახი. იყო ქვემო და ზემო მაწმაო, ჩემს ბავშვობაში სოფელში 8 ოჯახი ცხოვრობდა. მე მაწმაოში დავიბადე. 1991 წლის მიწისძვრამ მაწმაოში სახლები მთლიანად დაანგრია. ამ სოფელში აღარავინ დარჩა, ერთი მკვიდრი ოჯახი ჭალაშია ჩამოსახლებული, თუმცა მარიამობას, ათენგენობას, დღეობებს იმ სოფლებში მაინც ვიხდით...



ეს არის არა მხოლოდ მაწმაოს წუხილი, ხევსურეთში კატასტროფული დემოგრაფიული ვითარებაა. სულ 150 ოჯახამდეა დარჩენილი, ძირითადად მოხუცები ცხოვრობენ... უამრავი მიტოვებული სახლი, სასაფლაო, სალოცავია... ეს კი დიდი ტრაგედიაა.

– ხელისუფლებამ მიიღო მთის აღორძინების სპეციალური კანონი – „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, რომელიც სხვადასხვა შეღავათს და დახმარებას გულისხმობს...

– ჯერჯერობით რამიმე ქმედითი ნაგიჯი არ გადადგმულა, კანონი ქაღალდზე დარჩა... კანონი კი მაშინ იწყებს კანონობას, როცა პრაქტიკული მოქმედებები იწყება ადგილზე. კანონი ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის განვითარებას, მცირე საწარმოების გახსნას, სხვადასხვა ხელსაქმის ტრადიციული საწარმოების ჩამოყალიბებას, რამაც უნდა დააბრუნოს მთაში ახალგაზრდები, რომლებიც იქვე დარჩებიან და დაოჯახდებიან.

როდესაც ხელისუფალი ამას არ აკეთებს, არაფერი გამოვა, ეს იქნება ქაღალდზე დარჩენილი კანონი. არადა, მინდა, რომ ხელისუფლების ეს კანონი, რომელიც შინაარსობრივად საინტერესოა, მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეს.

არსებობს „საპარტნიორო ფონდიც“, რომელსაც ევალება პროექტების განხორციელება მთაში, მაგრამ ჯერჯერობით არცერთი პროექტი და რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

– მთის კანონის მიხედვით, თითქოს რაღაც შეღავათებს აძლევდნენ მოსახლეობას და გამოდის, რომ არაფერი არ მოქმედებს?

– მთის ხსენებული კანონი შეღავათებს ითვალისწინებს, პენსიას და ხელფასებს 20-პროცენტიანი დანამატით. წარმოება მთის კანონის მიხედვით დღგ-სგან გათავისუფლებულია, მაგრამ მარტო ეს არ არის მნიშვნელოვანი დანამატი. დიდი შედეგის მისაღებად უნდა გაიხსნას საწარმოები, თუნდაც ხალხური საწარმოები, რომელიც ხევსურულ ხელსაქმეთა წარმოებას დანერგავს, წრეებს, სკოლებს გახსნის, მაგრამ ამას ხელისუფლებამ უნდა გაუკეთოს ორგანიზება, დაავალოს იგივე ლუდის ჩამოსასხმელ საწარმო „ყაზბეგს“, რომ ააშენოს ქარხანა ხევსურეთში, დაასაქმოს ადგილობრივი ახალგაზრდები. მერე იქ თბილისიდანაც ჩავლენ, საწარმოს მოეხსნება დღგ-ს გადასახადი, რაც ძალიან დიდი შეღავათია წარმოებისთვის და გამოთავისუფლებული თანხით საწარმოს შეუძლია, განავითაროს თავისი წარმოება, ან გამოთავისუფლებელი თანხა მოახმაროს ხევსურეთის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ხელისუფლებამ ხევსურეთის განვითარებაზე ინდივიდუალურად უნდა იმუშაოს და სხვადასხვა დარგის მცირე საწარმოები გახსნას, ახალგაზრდები დაამუშაოს და მათ მისცეს გრძელვადიანი – 30-წლიანი, 40-წლიანი სესხები...

* * *

– ლექს-ანდრეზების ახალი კრებული „ხევსურული საგა“ ხევსურეთში გაგონილი თქმულებების, მითების, ლეგენდებისა და ანდრეზული გადმოცემების პოეტურ-პროზაული გააზრება-ანარეკლია, რაც თანამედროვე პოეზიაში სიახლეა...

ესაა ჩემი ერთ-ერთი ბოლო კრებული, რომელიც გამოიცა თბილისის მერიის და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით. ვფიქრობ, იმ ანდრეზებისა და მითების გადარჩენის მცდელობაა, რომელიც ბავშვობაში ხევსურეთში ხანდაზმულებისგან მესმოდა. მე მივუსწარი იმ მოხუცებს, ამ ყველაფერს მეხსიერებაში რომ ინახავდნენ, ჩავიწერე ანდრეზები, მითები. ამიტომაც ამ ციკლს დავარქვი – „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“.

ვეცადე, ხევსურული დიალექტის საფუძველზე, როგორც მესმოდა მათგან, გადმომეცა ეს ამბები, ოღონდ მათ სამოსი შევუცვალე და პოეტური სამოსი ჩავაცვი. სიმართლე გითხრა, არ ველოდებოდი და უდიდესი მოწონება მოჰყვა, ერთდროულად 6 წერილი გამოქვეყნდა ამ წიგნზე.

– წიგნმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია... გამოქვეყნდა ივანე ამირხანაშვილის, ანდრო ბუაჩიძის, მანანა ჩიტიშვილის, სოსო სიგუას, მანანა ჩაჩანიძის, მამუკა ვაშაკიძის... წერილები. ივანე ამირხანაშვილის თქმით, ეს არის ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში, ხოლო მანანა ჩიტიშვილი წერს, რომ ბაღათერ არაბულის „ხევსურული საგის“ წაკითხვის შემდეგ ვაჟა ჩემთვის უფრო გასაგები გახდაო.

– რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ასეთი შეფასებები. ამ ციკლს ვაგრძელებ და უახლოეს ხანში მეორე წიგნის გამოცემასაც ვაპირებ...

– რომელ თქმულებას გაიხსენებ ახლა...

– წიგნში თავმოყრილია ფანტასტიკური ამბები. ალექსი ჭინჭარაულის მამის – ლეკოს და მისი წინაპრების სისხლი ემართათ ქისტებს. მოსისხლეები იყვნენ. წავიდა ღამე ქისტეთში ლეკო თავისი მოსისხლის მოსაკლავად ან მოსატაცებლად... ღამე დაეცა თავზე მწოლიარე ქისტს, გაკოჭა, წამოაგდო და წამოიყვანა... მოჰყავს ფეხშიშველა, და ხედავს ლეკო, რომ კოჭლობს ქისტი, დაეჭრა ფეხები ქვებზე, კლდეებზე... მტერს ღირსება ელახებაო... გაიხადა თავისი ქალამნები და ჩააცვა მოსისხლეს. დილით მივიდნენ შატილში და ხალხი ხედავს, რომ ლეკო ფეხშიშველაა, მისი მოსისხლე მტერი კი ქალამნებჩაცმული.

ამ ლექსს „მოსისხლეები“ ჰქვია.

მეორე გაბურების თემაა. არხოტში სამნი ძმანი გაბურები და მათი ოჯახები ამოწყვიტეს, ერთ-ერთი ოჯახის ცოლი და შვილი გადარჩნენ მხოლოდ, რადგან საქონელში მწყემსად იყვნენ. საღამოს რომ დაბრუნდნენ, დედა ჭკუაზე შეიშალა, ყველა ამოწყვეტილია, მხოლოდ ბავშვი გადარჩა... რა აზრი აქვს ასე დარჩენას ძმა-მიძაშვილები აღარ გვყავს არავინო. ხვალ უნდა მივუყვანო ქისტებს ეს შვილი, იქნებ ესეც მოკლან, იქნებ ჩემი სისხლით გაძღნენო.სოფელი აჩერებს, ხო არ შეიშალე, ღმერთმა მიჭი გადაგირჩინაო. არ იშლის მაინც... მაინც მიჰყავს ეს მიჭი ქისტებთან, მიუგდებს და ეტყვის, მოგიყვანეთ, გაძეხით ჩვენი სისხლითო. და მოდის უკან...

გადის 20 წელი... ეს ქალი ზის ნახევრად შეშლილი, თმაჩამოშლილი და ნანობს თავის ნამიჯს, მოთქვამს, ეს რა ვქენი, რატომ წავიყვანეო?

ერთ დღესაც მთებზე გადმოდგნენ ქისტები თეთრი დროშით და საქონელი მოჰყავთ... საოცრება ხდება, მოჰყავთ ეს მიჭი, უკვე გაზრდილი, 23-24 წლის. მას ქისტი ცოლი შერთეს, სამი კაცი – ძმა ხომ ამოწყვიტეს ქისტებმა? ვიდრე სამი მიჭი არ ეყოლა, არ დააბრუნეს. ყველაფერი მისცეს, რაც აუცილებელი იყო ოჯახისთვის, მათ შორის კუთვნილი საქონელიც. გაბურების სიცოცხლე რომ გაგრძელებულიყო, არ მოკლეს, უკან დააბრუნეს. ასე იქცნენ მოსისხლეები მძახლებად.

მერე ხევსური ამბობს, ეგრე იყო, გამორჩეული მტრობა და მოყვრობა იცოდნენ ქისტებმაო. შეურაცხყოფას კი არ ამბობს, გამორჩეულიო...

ასეთი ლეგენდებით და ანდრეზებითაა სავსე ეს წიგნი. ვფიქრობ, საინტერესო იყო მკითხველისთვის.

– ლექსში „გახსენება“ ხევსურეთის ტკივილი მძაფრადაა ამოთქმული... იმ გმირების მონატრებაა, რომლებსაც ახლა „ხევსურეთის ნაღვლიან მთებში სძინავთ“...

– ნაწყვეტს წაგიკითხავთ...

„..სად არის ახლა ქალუნდაური?
სანეს წვერზე რომ მტრის ლაშქარს დახვდა
და მერე თოფი მიწაში ჩაფლო,
რომ მეტი არვინ შემოჰკვდომოდა?!
სად არის ხირჩლა ბაბურაული?
ანდა იმ ვეფხვის მომკვლელი მოყმე?
ან მოყმის დედა –
ვეფხვის დედა რომ შეიბრალა!..
რა იქნენ:
ლიბოდამსკდარი ციხის პატრონი თინიბექი?
აკათ სუხა და მელექსე ხინკალაური?
სად არიან ის ვაჟები სვილისფერანი? –
არხოტიონნი, შატილელნი,
პირაქათელ-პირიქითელნი –
მტრის ჯარს რომ რისხვად თავს ესხმოდნენ,
შიშის ზარს სცემდნენ!..
სად არის ახლა ის ძაღლიკა ხიმიკაური –
ხის ხანჯლიანი ერეკლეს რომ ეახლა ომში?
სად არის დიდი გულთმისანი ხოგაის მინდი?
.....
ყველას,
ყველას სძინავს ხევსურეთის ნაღვლიან მთებში“...

* * *

– ჟურნალი „ცისკარი“.... დღეს წყვეტილად გამოდის...

არადა, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა – ქართული პერიოდიკის უწყვეტი ტრადიცია – ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარი“...

– დღესდღეობით ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები სულს ღაფავენ. რაც გამოდის, მათი ტირაჟი და გაყიდვის რაოდენობა კატასტროფულია. ეს პროცესი ძალიან მტკივნეულია. გახსოვს, ალბათ, როცა უწინ „ცისკარში“ იბეჭდებოდი, 75 ათასი ტირაჟით გამოდიოდა, „ნობათშიც“ იბეჭდებოდი და 35 ათასი ტირაჟი ჰქონდა... დღეს „ნობათი“ აღარ არსებობს... კულტურის სამინისტროს „ცისკრისთვის“ მივანიჭებინეთ არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი“. ამის მიუხედავად, „ცისკარს“ არ აფინანსებენ. განაცხადი შევიტანეთ კულტურის სამინისტროში, თბილისის მერიაში, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში, ყველგან უარი გვითხრეს. მათთვის ეს ღირებული არ არის, არც ძეგლის სტატუსია მნიშვნელოვანი და არც ისტორია. ჟურნალი „ცისკარი“ 166 წლის გახდა, როდესაც ზოგიერთ სახელმწიფოს ევროპაში 166 წლის ისტორიაც კი არ აქვს...

დღეს კულტურის სამინისტრო და მწერალთა სახლი ორ ჟურნალს აფინანსებს, გასაგებია. მაგრამ „ცისკარი“ აკადემიური, ყველა თაობის ჟურნალია, ყოველგვარი პარტიულობისა და მიმდინარეობისგან თავისუფალი. აქ ყოველთვის იბეჭდებოდა დრამატურგია, პიესები, რომანები, დიდი თარგმანები. დღეს არ არსებობს ჟურნალი, სადაც რომანის დაბეჭდვა შეიძლება...

არადა, იუნესკოს კანონმდებლობით, სახელმწიფოს ევალება, „არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის“ მქონე ძეგლებზე რომ ქვეყანამ იზრუნოს და უპატრონოს.

სახელმწიფო, კულტურის სამინისტრო იქნება, მერია თუ სხვადასხვა ფონდი, ყველანაირად ვალდებულია, ამ ჟურნალების საკითხი განიხილოს. ვფიქრობ, მწერლებს ერთდროულად მოგვიწევს მუშაობა და ერთნაირი პრინციპებით მოქმედება, რომ ლიტერატურა გადავარჩინოთ.

ლიტერატურის, მწერლობის ქვეყანა ვართ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ყველაზე დიდი განძი არის ჩვენი ლიტერატურა, მწერლობა, კულტურა.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

წერტილი არა – ცრემლი...

შტრიხები თორნიკე ერისთავის პორტრეტისათვის...

რამდენიმე წლის წინათ ქვიშხეთში რეზო ჭეიშვილის დაბადების დღეზე შევიკრიბეთ... 78 წლის შესრულდა და მისალოცად ჩავედით... ბატონმა რეზომ პირადად მიმიწვია, თუმცა რომ არა ნოდარ გრიგალაშვილის შემოხმიანება, შესაძლოა, ვერც ჩავსულიყავი...

მოკლედ, ქვიშხეთში შესანიშნავი საზოგადოება დაგვხვდა, მათ შორის მრავალი ჩემი მეგობარიც... ჯიბის პატარა ფოტოკამერა მიმქონდა და ფოტოებიც უხვად გადავიღე... ფაქტობრივად ყველა მონადიმე აღვბეჭდე, მათ შორის თორნიკე ერისთავიც... სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ორი ფოტო ვიპოვე: ერთ-ერთზე თორნიკე ერისთავი მის პირდაპირ მჯდომ თემურ ამყოლაძეს უჭახუნებს ჭიქაზე ჭიქას... მეორეზე კი – ჩაფიქრებულ-დადარდიანებული ჩანს...

ღირსეული პოეტი და სამშობლოს ჭირისუფალი, ჩვენი თორნიკე ერისთავი, როსტომ რაჭის ერისთავის შთამომავალი, დიდ წინაპარს მიუვიდა... „გვარსა და სახელს, როგორც სასჯელს, ისე განვიცდიო“ – წერს ერთ ლექსში... „ამოისუნთქებს სამშობლოს ფილტვი, მთელი სიცოცხლე ნაგროვებ სუნთქვას“ – ასეთი იყო პოეტის ცხოვრება... „არის სიკვდილი... რომელიც მიყვარს, არის სიცოცხლე, რომელიც მძულს!“ – არსებული რეალობის შემყურე თორნიკე ერისთავი ოპტიმისტი ვერ იქნებოდა... „სიკვდილის არ მეშინია, მომკლავს დავიწყება“ – ეს ეჭვი აწუხებს, თორემ მშვენივრად აქვს შესისხლხორცებული ვაჟასეული: „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“ ანდა „რა ლამაზი ხარ, სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა“... თითქოს ეშურება „თავისუფალ სამარეს“, მაგრამ გულდაწყვეტილია სამშობლოს გამო: „მელის სამარე თავისუფალი და დაპყრობილი მრჩება სამშობლო“...

ცას დაუბრუნდა თორნიკე ერისთავი, რადგან მიწამ გარიყა... „ცა იყო ადრე ჩემი საუფლო, ან, თუ არ ვცდები, სულაც ცა ვიყავ“...

წავიდა და დატოვა მოცულობით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი შემოქმედება... დატოვა „ოიდა, ოვშალე“ – დაკარგული თავისუფლებისა და მოშლილ-იავარქმნილი მამულის გაუნელებელი ტკივილი, კელაპტარივით დანთებული პოეტური სიტყვა...

„ოიდა, ოვშალე“ – უკვდავი „შავლეგოს“ გვერდით დგას, მასავით გვამხნევებს, რწმენა-იმედს გვიმტკიცებს, საბრძოლველად განგვაწყობს, რადგან სამშობლო, მამული დღესაც გადასარჩენია!...

„ხმალ-ხანჯალ-აბჯარო,
რამ დაგამძიმათ,
რა მოხდა, რას ჯავრობთ,
ხმალ-ხანჯალ-აბჯარო,
ოიდა, ოვშალე.
მოგვიკლეს მედროშე,
მოგვიკლეს მედოლე,
შორია იმ ძველ
საქართველომდე...
თავი წავაგეთ და
მამული მოვშალეთ,
ხმალ-ხანჯალ-აბჯარო,
ოიდა, ოვშალე.“

სანამ უფრო დაწვრილებით შევეხებოდე თორნიკე ერისთავის პოეზიაში სამშობლოს, მამულის „გასაკვირველ განცდას“, მანამდე ვიტყვი:

როგორ ბუნებრივად ეხმიანება მისი „ოფელია“ – გალაკტიონის „ოფელიას“... ამ სახელის გამოყენება ლექსში სარისკოა და საფრთხილოც მას შემდეგ, რაც გალაკტიონმა უკვდავი სუნთქვა შთაბერა და მარადისობის მკვიდრი გახადა... მიუხედავად ამისა, თორნიკე ერისთავმა შესძლო, მისი „ოფელიაც“ დამოუკიდებელი, მშვენიერი პერსონაჟი ყოფილიყო ლირიკული ლექსისა – საკუთარი შთამბეჭდავი საარსებო სივრცითა და გარემოთი... პატარა ამონარიდს წარმოგიდგენთ თვალსაჩინოებისთვის:

„ფიქრი ღონეს მაცლის,
თვალი სოველია,
სხვაში ვერ გაგცვალე,
ჩემო ოფელია“...

ახლა კი – პოეტის „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

თორნიკე ერისთავის ფიქრი, განცდა, მონატრება გონიერი სიუზერენით გაბრწყინებულ საქართველოს ეხმიანება:

„გამორჩეული, ვეფხვივით სწრაფი,
ფიქრი მახსენებს „ვეფხისტყაოსანს“,
ანუ ეპოქას, როცა სამშობლო
სიტყვით და საქმით მეფემ შემოსა“.

ამას ნატრობს „ჩუმის ნატვრითა“ არაერთი ქართველი...

თორნიკე ერისთავის სულიერი მდგომარეობა აბსოლუტურად გულწრფელია და უცხოც არ არის ჩვენთვის...ეს პირადი და ეროვნული ტრაგედიის რანგშია აყვანილი:

„ცხოვრობ მამულში,
მაგრამ მაინც მამელუქი ხარ“...

თორნიკე ერისთავი იმ ჯიშისა და ჯილაგის გახლდათ, სიყალბესა და უღირსობას, ღალატსა და თვალთმაქცობას, სიცრუესა და ორპირობას, რომ ვერავის აპატიებდა და ვერც შეურიგდებოდა... ამიტომაც ლექსად უბარებს მეგობარ ჯავა ჭეიშვილს:

„იმედის კარი გამოვიკეტე,
ვერ ამოვძირკვე ავის სუფევა,
დახატე, შენ გთხოვ და სხვას არავის,
ცოტა ვინმეს აქვს ამის უფლება –
მინდორი მწვანე და ცხენი თეთრი,
ან უფრო მოკლედ-თავისუფლება“.

როსტომ რაჭის ერისთავის შთამომავლის წუხილი, გულსატკივარიც სხვაგვარი ვერ იქნებოდა... მას თითქოს „მიესაჯა“ წარსულიდან აწმყოში დაბრუნება, მაგრამ რეალობამ შემაძრწუნებლად იმოქმედა პოეტზე:

„შერჩენილი ვარ ცხოვრებას ისე,
როგორც მთის სოფელს ნამოსახლარი“...

ამ შემზარავი განცდით იცხოვრა პოეტმა და გამიზნულად აირჩია სიკვდილის გზა... („სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“ – გალაკტიონიც გაგახსენდებათ...) სიკვდილი აღმოჩნდა პოეტის საიმედო თავშესაფარი, ოღონდ იმისი შიშით, რომ დავიწყებას არ მიეცეს მისი სახელი...

ვიტყვით თორნიკე ერისთავს და მაშინათვე გაგვახსენდება აკაკი წერეთლის უკვდავი პოემა და გმირი – „თორნიკე ერისთავი“... სასჯელი იქნებოდა, აბა რა – დიდი წინაპრისა და სეხნიის სახელის ტარება...

სხვათა შორის, რეზო ჭეიშვილის დაჟინებული თხოვნით დაიწყო თორნიკე ერისთავმა პოემა – „აკაკი წერეთლის“ წერა... ნაწყვეტი რამდენჯერმე გამოქვეყნდა... სამწუხაროდ, პოემა დაუსრულებელი დარჩა... „ოიდე, ოვშალეც“ ამ პოემის ნაწყვეტის დასასრულია და ერთგვარი რეფრენიც...

ელგუჯა თავბერიძისადმი მიძღვნილ ლექსში იგრძნობა პოეტის საფუძვლიანი დაეჭვებაცა და მცირეოდენი იმედიც:

„ვინ იცის, – იქნებ,
სულ ტყუილად ვაგინებ მავანს,
ვინ იცის, – იქნებ,
ჩვენი საქმე მას კარგად მიჰყავს,
მე ეს იმედი,
რომელიც, ვგრძნობ, გამიცრუვდება,
სამშობლოს მთებზე
შერჩენილი თოვლივით მიყვარს“.

პოეტი მკაფიოდ ხედავს, გრძნობს არსებულ ვითარებას, მაგრამ მაინც გვეკითხება, რადგან არ სურს მთლად გადაიწუროს იმედი... იცის, წყალწაღებულივით, ხავსს რომ ეჭიდება, მაგრამ არ უნდა ბოლომდე სულიერად გატყდეს და უჟამო ჟამს დანებდს:

„ძლიერმა ქარმა დაახშო,
ხმა მებუკის და მეზურნის,
თუ ჩვენში გამოილია
თევდორესთანა მეგზური“...

არ უნდა იმედი გადაიწუროს-მეთქი და ამ ჩემი ნათქვამის გასამყარებლად, თემურ ამყოლაძისადმი მიძღვნილი ლექსის ეს ამონარიდიც იკმარებს:

„ვეთბილები ჯერაც
ცოცხალ იმედს,
შორით ვხედავ
საქართველოს ლაშქარს“...

ბუნებრივია, პოეტს – „მცირე ერის შვილს“ აშინებს ფიქრი მომავალზე, ფიქრი – ჩვენი ყოფნა-არყოფნის გამო..

ისევ თორნიკე ერისთავის ლექსი გაგვახსენებს თავს... პოეტი „აბიჯებს ფიქრებს“, რომ დროებით მაინც გაფანტოს და სული მოითქვას; მისთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო ის ორი სიმსივნეა, რომელიც ბასრი მახვილივით ებჯინება პოეტის არტერიას...

„ვაბიჯებ ფიქრებს ნაბიჯ-ნაბიჯ
მამულზე ვფიქრობ,
ბებერი გული ფიქრს ვერ ელევა,
კიდევ კარგი, რომ ფიქრს
ვერ მართმევენ,
მამული მალე გამომელევა“....

დამეთანხმებით, ყველა საღად მოაზროვნე პიროვნების, პატრიოტის, ქართველის ფიქრი ჩვენი მიწა-წყლის სვე-ბედსა და დაკარგულ ეროვნულ იდეას უტრიალებს...

თორნიკე ერისთავის ახალი კრებულის – „ათასმეერთე ფიქრის“ წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი როსტომ ჩხეიძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს:

„ეს ის სამშობლოა: საცოდავი, რაკიღა ლამაზ, თეთრყელიან შველს გათანაბრებია. და გამოლევით კი გამოლეულა თევდორესთანა მეგზურები, რადგანაც დერეფნად გამოცხადებულს ლამის თავისი ისტორიული მისიაც დაეკარგვინონ და ეროვნული ნიჰილიზმიც მოახვიონ თავს“...

ახლა კი – თორნიკე ერისთავის ლექსიდან ამონარიდი გავიხსენოთ, რაზეც ბატონი როსტომი მიანიშნებს:

„და იყო მახე,
მახე მახეში
და ბოლოს, თვითონ დაკლეს საშობოდ
შველი ლამაზი, თეთრყელიანი
და საცოდავი, როგორც სამშობლო“...

ეს სტრიქონები მაშინათვე ამეკვიატა, როგორც კი გავეცანი... ალბათ, ორ ათეულ წელზე მეტია გასული მისი პირველი პუბლიკაციიდან...

ვაპირებდი, მოკლე გამოსათხოვარი დამეწერა, მაგრამ სიტყვა ბუნებრივად გამიგრძელდა...ეტყობა, ასე იყო საჭირო...

„მე მივყვებოდი ჭრელ პროცესიას,
მამის სიმართლე მიჰქონდა კუბოს“...

დღეს კი – ეს „ჭრელი პროცესია“ თავად პოეტს მიაცილებს „თავისუფალ სამარემდე“ და მისი „სიმართლეც“ კუბომ წაიღო...

თუმცა არა! – სიმართლე – თორნიკე ერისთავის პოეზიაში სამარადჟამოდ დარჩა და რაც დრო გავა, მეტად აკაშკაშდება...

ახლა ისევ თორნიკე ერისთავის „სიკვდილი“ გავიხსენოთ... ლექსის სათაურიც ეს არის:

„რამდენი კაცი წამართვა,
რამდენჯერ მომკლა ცოცხლად,
არ შეისმინა არასგზით:
თხოვნა, მუდარა, ლოცვა...
ნატვრის ამარა დამტოვა:
„მოსამართლე მქნა ნეტა“,
სიკვდილს სიცოცხლეს მივუსჯი,
იტანჯოს ჩემთან ერთად“...

ვფიქრობ, რაიმის თქმა უკვე ზედმეტია, თუმცა ამით არ ვაპირებ დასრულებას... ერთ ლექსსაც გავიხსენებ:

„ვიცი, წინასწარ ვხედავ,
რა იქნება და როგორ,
რადგან სამშობლო ახლა
ჰგავს უპატრონო გოგოს...
სევდა სასთუმლად მიდევს
და კარგს არაფერს ველი,
სჭირდება ამ ლექსს ბოლოს
წერტილი არა – ცრემლი.“

მეც ცრემლითა და წუხილით ვემშვიდობები ძვირფას თორნიკე ერისთავს...მანაც „ლამაზი ხარივით“ სამუდამოდ გაავლო საკუთარი ხნული ქართული პოეზიის უკიდეგანო მინდორში... უფალმა შეივედროს მისი ტანჯული სული:

„მიუხველ მამა-პაპათა,
ამოღებულის ხანჯრითა“...

ელგუჯა მარღია,
12.01.2019 წ. თბილისი

◎ უნიათოებო, მოგვისმინეთ!

ოკუპანტებს მიაქვთ ეს ტყეები, უზარმაზარი ტერიტორია მიაქვთ, გესმით თქვენ?!

„ატოცი. აქ ერთად შევაჩერეთ მცოცავი ოკუპაცია. დღეს კი დღის წესრიგში ჩორჩანაა,“ – წერს ჟურნალისტი ლაშა ბერულავა და ფოტო და ვიდეომასალების თანხლებით საკუთარ FACEBOOK-ზე ორ სტატუსს აძვეყნებს.

სტატუსი №1

შარშან ზაფხულში ვყვიროდით, ყარაფილასთან ავტობანის პარალელური გზა გაჰყავთ ოკუპანტებსო და ერთ ყურში შევუშვით, მეორიდან გამოვუშვით.

შედეგად – ოკუპანტთა ბაზები მოკლე გზით, ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორიის გავლითაა დაკავშირებული.

შარშან, შემოდგომაზე ვყვიროდით, თრუსოს ხეობას აგვახევენ და ყაზბეგი-გუდაურზე უჭირავთ თვალიო, ბანაკი მოვამზადეთ და ნასვამი მოხევეები დაგვახვედრეს სამ კაცს, რომ არა ჩვენი თავდაჯერებული და გონიერი საუბარი, რაც საკმაოდ ძნელი იყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა, სამაგიეროდ, ახლა ყველა თრუსოს ხეობაზე და გუდაური-ყაზბეგზე ალაპარაკდა.

შარშან გაზაფხულზე ვყვიროდით, საბაჟო პუნქტების გახსნა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი დათმობების ხარჯზე მოხდებაო და ყურს არ იბერტყავდა არავინ, ახლა კი ყველა ამაზე ალაპარაკდა.

ახლა ვყვირივართ: ამგვარი მონიშვნებით სავსეა ხაშურის თავზე ტყეები, ეს წაღვლის ტყეა, წაღვლი ხაშურის მუნიციპალიტეტში შედის, მიაქვთ ეს ტყეები, უზარმაზარი ტერიტორია მიაქვთ, გესმით თქვენ?

პოლიციამ ეს იცის, ხელისუფლებამ ეს იცის, მაგრამ პოლიტიკური ნება არაა ხმის ამოღების, მხოლოდ იმის ნებაა, რომ ჩვენ არ მიგვიშვან, არ გადაგვაღებინონ, არ გაგვახმაურებინონ, დაგვაბოლონ, რომ მეტყევეები დადიან რუსული პულვილიზატორებით და ტყეში ხეებს ნიშნავენ...

ჩვენ კი ჯიუტად ვიწევთ, არ ვინდობთ მანქანებს, არ ვიზარებთ 10-კილომეტრიან გადარბენებს, ვწვალობთ გადაღებებზე, ვიღებთ კოორდინატებს, ვრთავთ ლაივებს და თქვენამდე მოგვაქვს, გაგებინებთ და გეუბნებით, ადამიანებო, ქართველებო, თვითონ პოლიციელები არიან გაოგნებული, იმ დონის ღალატთან გვაქვს საქმე და ეს ამბავიც მერე გახდება ალბათ აშკარა, ჩვენ კიდე არ ვართ ბევრნი და რა გავაკეთოთ, ეს ოხერი, რამდენად გავიყოთ, როგორ გადავეფაროთ ამხელა მინწას თხუთმეტიოდე კაცი და ამოიღეთ რა, ხმა, თქვენი ხმაა აქ გადამწყვეტი, თორემ უბედური შემთხვევების მეტი რა ხდება...

რეიტინგი, იმიჯი, ხმები ჩვენ არ გვინდა და თანამდებობა, პარლამენტისკენ ჩვენ არ ვილტვით და გრანტს რომ ტყე-ღრეში ხეტიალისთვის არავინ იძლევა, ჩემზე უკეთ იცით. სანამ თქვენც მოგბეზრებიათ, სანამ გითქვამთ, რა წაიღეს ამათ ტვინიო, მიხვდით, რომ ჩვენს საკუთარს არავინ გვეცილება, ატოციდან შორსაა ჩემი სახლი და ვერავინ წამართმევს, მაგრამ ყველას გვართმევენ ამ ქვეყანას და გადამთიელები კი არა, ჩვენი სისხლი და ხორცი გვართმევს, რადგან გვაჩუმებს, ხელს გვაფარებს და გვეუბნება, რომ კი, მართალი ხარ, რუსები გვართმევენ, მაგრამ ნუ დაიყვირებ, ნუ გააღიზიანებთო!..

ვერ ეღირსებით მაგას, ვერ გვნახავთ მოდუნებულს, მაგრამ ახლა იყვირეთ თქვენც ჩვენთან ერთად, თორემ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან რომელიმე რომ მოგვივა, მერე, ბოდიში და, რა თავში ვიხლით მაგ დამწუხრებულ სმაილებს და რა პატრიოტი დავკარგეთ ფრაზებს?!

სტატუსი №2

ატოცი. აქ ერთად შევაჩერეთ მცოცავი ოკუპაცია.

დღეს კი დღის წესრიგში ჩორჩანაა, რომელიც არასოდეს ყოფილა ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ამის მიუხედავად, ორკები გეგმავენ ამ უზარმაზარი ტყის მასივის ოკუპაციას.

ჩვენ დავიწყეთ ჩორჩანა-წნელისი-წაღვლის მიმდებარე ტყეებში პატრულირება და რუსი ოკუპანტების მიერ გაკეთებული 23 ნიშნული აღმოვაჩინეთ. 2 კვირის წინ კი ოკუპანტებმა შუაგულ, ჩვენი ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტყეში კოდელი მონადირე დააკავეს, გააფრთხილეს, რომ არც კი გაებედა მეორედ ამ. ტყეში შემოსვლა და გამოუშვეს ამბის მოსატანად...

ორკები უკვე ისე მოძრაობენ ჩვენს ტყეებში, თითქოს ეს ტყეები უკვე მათი ყოფილიყოს.

ჩვენ ვეძებთ დამატებით მტკიცებულებებს და პარალელურად ვპატრულირებთ ჩორჩანის ტყეებში.

დღეს ჩვენი შესვლა საპატრულოდ შეფერხდა პოლიციის მიერ, მიზეზი კი ჩვენი უსაფრთხოება დასახელდა.

ეს კი, დამეთანხმეთ, დამატებითი მტკიცებულებაა იმისა, რომ ჩორჩანას ტყის ოკუპაციის რისკი გაზრდილია. ესე იგი ჩვენი ვარაუდი გასცდა ვარაუდის ფარგლებს და ჩვენდა სამწუხაროდ, მყარდება მოსაზრება იმის შესახებ რომ 2 კვირის წინანდელი კოდელი მონადირის გაფრთხილება შემთხვევითი არ იყო.

დღეს პოლიციასთან რამდენიმე საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ ჩვენ მაინც შევედით ჩორჩანას ტყეში, მაგრამ ძვირფასი დრო დაკარგული იყო. ჩვენ ვერ შევძელით დაგეგმილი პერიმეტრის პატრულირება და როგორც შედეგი, დღეს ვერ მოვახერხეთ იმ ნიშნულების პოვნა, რომლებიც ორკების გეგმის გამოაშკარავებაში დაგვეხმარებოდა..

ფაქტი კი ჯიუტია, ჩორჩანას უზარმაზარი ტყე ოკუპაციის რისკის ქვეშ არის, იქ უკვე რუსი ოკუპანტები თავისუფლად გადაადგილდებიან.

ჩვენ კიდევ გვაქვს შანსი გადავარჩინოთ ეს უზარმაზარი ტერიტორია ოკუპაციას, მაგრამ ამისათვის ბრძოლაა საჭირო.

ჩვენ, ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ატოცის გამარჯვების შემდეგ ჩორჩანას ტყის და იქ მდებარე საბადოების გადარჩენა მოვახერხოთ!

ხიდზე გასვლის გამო ადამიანობას ხომ არ გავყიდით?!

რას ითხოვენ ოკუპირებულ აფხაზეთში დარჩენილი ქართველებისგან აფხაზური პასპორტის სანაცვლოდ?!

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პასპორტის ასაღებად საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა მოუწევთ. ამ დოკუმენტის გარეშე კი „დროებით ბინადრებად“ ჩაითვლებიან. აფხაზური კანონმდებლობით, ორმაგი მოქალაქეობა აკრძალულია. რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელზეც ეს აკრძალვა არ ვრცელდება.

გალის რაიონში, სადაც აფხაზეთის ლეგიტიმური დევნილი მთავრობის მონაცემებით, 50 ათასამდე ქართველი ცხოვრობს, უმეტესობას საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად „აფხაზური პასპორტიც“ ჰქონდა. ქართველებისთვის ამ „დოკუმენტის“ მოქმედების ვადა 2019 წლის იანვარში ამოიწურა. დე ფაქტო ხელისუფლებამ ვადა მხოლოდ პენსიონერებისთვის გააგრძელა.

საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ე.წ. აფხაზური პასპორტით გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს ბოლო დრომდე ატარებდნენ დანარჩენ საქართველოსთან საზღვარზე, რომელიც ენგურის ხიდთან გადის. ბოლო 25 დღის განმავლობაში ეს „საზღვარი“ დაკეტილი იყო „ღორის გრიპის“საბაბით დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული კარანტინის გამო.

4 თებერვალს გახსნილი „საზღვარი“ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა ორი „საბუთით“ გადაკვეთეს - „ბინადრობის მოწმობით“ და „ფორმა ნომერი ცხრით.“ დე ფაქტო ხელისუფლებამ ადგილობრივ ქართველებს „აფხაზური პასპორტი“ ამ საბუთებით შეუცვალა.

გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც უსაფრთხოების მიზეზით ვინაობის გამხელა არ ისურვა, რადიო „თავისუფლებას“ უამბო, რომ „ბინადრობის მოწმობის“ აღება 100 ლარამდე დაუჯდა. **„გვეუბნებიან, რომ ხუთი წლის ვადა აქვსო, მაგრამ რა იქნება არ ვიცით, იქ სულ რაღაცას ცვლიან“,** – ამბობს რესპონდენტი, რომელიც ოკუპირებული გალიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ენგურის ხიდის გავლით გადმოვიდა.

გალის რაიონში მცხოვრები ქართველების დიდ ნაწილს „აფხაზური პასპორტის“ სანაცვლოდ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა არ სურს, ამიტომ „ბინადრობის მოწმობის“ აღებას ამჯობინებს. **„ეროვნება უნდა გამოიცვალოო და ასე ხომ არ არის ეროვნების გამოცვლა?! ეროვნება აფხაზი უნდა ჩაიწეროო და ხიდზე გადასვლის გამო ადამიანობას ხომ არ გაყიდი?! ჩემი ხედვით, ერთადერთი გამოსავალია, რომ გაძლიერდეს საქართველოს მთავრობა და უშველოს ხალხს, თორემ სხვანაირად ძნელია“,** – გვეუბნება ქალაქ გალის მცხოვრები, რომელმაც გვთხოვა, მისი ვინაობა საჯაროდ არ დავასახელოთ.

ოკუპირებულ გალში მცხოვრებმა ქართველებმა 23 იანვარს საპროტესტო აქციაც გამართეს და მათთვის ე.წ. პასპორტების გაცემა მოითხოვეს. საპასუხოდ, გალის დე ფაქტო ადმინისტრაციის უფროსმა თემურ ნადარაიამ განაცხადა, რომ „საქართველოსთან ორმაგ მოქალაქეობას“ არ დაუშვებენ. **„აფხაზეთის მოქალაქეობის მისაღებად ორი პირობა არსებობს – 1994-1999 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრება და ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის არქონა, გარდა რუსეთის ფედერაციისა“,** – განაცხადა ნადარაიამ.

ოკუპირებული აფხაზეთიდან, ძირითადად, გალის რაიონიდან ე.წ. საზღვარს ყოველდღიურად კვეთს რამდენიმე ასეული ადამიანი. ისინი დანარჩენ საქართველოში პროდუქტის შესაძენად, სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ნათესავების მოსანახულებლად, ან სასწავლებლად გადმოდიან.

თამარ ზამთარაია

დიპლომატიური სკანდალი - საფრანგეთმა იტალიიდან ელჩი გაიწვია

საფრანგეთსა და იტალიას შორის დიპლომატიური სკანდალი ღრმავდება, საფრანგეთის თქმით, ამის მიზეზი იტალიელი პოლიტიკოსების „უსაფუძვლო თავდასხმები და აბსურდული განცხადებები“ გახდა. ოფიციალურმა პარიზმა რომიდან თავისი ელჩი კონსულტაციებისთვის გაიწვია. საფრანგეთის ხელისუფლების განცხადებით, ეს უპრეცედენტო ზომაა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ არ გამოუყენებიათ.

ინციდენტი მოხდა მას შემდეგ, რაც იტალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლუიჯი დი მაიო სამშაბათს პარიზთან ახლოს საფრანგეთის ხელისუფლების პოლიტიკის მოწინააღმდეგე „ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო მოძრაობის წარმომადგენლებს შეხვდა.

საფრანგეთის მთავრობამ ის ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობის გამო გააფრთხილა. საფრანგეთსა და იტალიას შორის დაძაბულობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც 2018 წლის ივნისში იტალიაში კოალიციური მთავრობის ფორმირება პოპულისტურ „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობასა“ და მემარჯვენე პარტიას „ლიგას“ შორის მოხდა.

„ყვითელ ჟილეტიანებთან“ შეხვედრის შემდეგ დი მაიომ ტვიტერზე დაწერა, რომ ცვლილებების ქარმა ალპები გადალახა. დი მაიოს ვიზიტს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროვოკაცია უწოდა, რომელიც მიმართულია მეზობელი, პარტნიორი ქვეყნის წინააღმდეგ.

ემანდ, ხუმრობა არავის ეგონოს!

ცოტა ხანში, კერძოდ კი 1 აპრილიდან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სურსათისა და სხვა სახეობის პროდუქციის გაყიდვისას აიკრძალება ნებისმიერი სისქის პოლიეთილენის პარკების გამოყენება — მწარმოებლებს სთავაზობენ მხოლოდ ბიოლოგიურად დეგრადირებადი, ანუ დამშლელი და კომპოსტირებადი (სასუქად გადამქცევი) პარკების მოხმარებას. მანამდე კი, 2018 წლის 1 ოქტომბრიდან, ქვეყანაში აიკრძალა 15 მიკრონზე ნაკლები პოლიეთილენის პარკების წარმოება-შემოტანა და რეალიზება.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი ტექნიკური რეგლამენტის ფარგლებში — „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესების“ თანახმად — მის დებულებათა დამრღვევი პირები 500 ლარით დაჯარიმდებიან, განმეორებით დარღვევის შემთხვევაში კი საქონელი ჩამოერთმევათ და კანონდამრღვევი გაორმაგებული თანხით, ანუ ათასი ლარით დაჯარიმდება.

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის დაცვაზე კონტროლი, რაც, ფაქტობრივად, გარემოს დაბინძურების დონის შემცირებაზეა მიმართული, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ბუნების დაცვის ზედამხედველობის სამსახურს აქვს დავალებული (კერძოდ, პარკების წარმოება), ასევე პასუხისმგებლები არიან ფინანსთა სამინისტრო (პარკების იმპორტი) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (პარკების რეალიზება).

იმაზე ლაპარაკი, რომ პოლიეთილენის პარკები გარემოს უაღრესად აბინძურებენ, მათი უტილიზება კი არათუ სათანადო მასშტაბით, არამედ ერთი რომელიმე კონკრეტული რაიონის ფარგლებშიც კი, ფაქტობრივად, არ წარმოებს, ნამდვილად ზედმეტია. ვისაც ერთხელ მაინც უმგზავრია მატარებლით თუ მანქანით დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოში, უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას თითქოს საგანგებოდ მორთულ, სინამდვილეში კი ნაირფერი პარკებით დახუნძლულ-დაბინძურებულ ხე-ბუჩქნარებსა და ველ-მინდვრებს.

ზოგადად კი, პოლიეთილენის ნაწარმის გამოშვების ბუმი გასული საუკუნის შუა ხანებში დაიწყო და არსებული მონაცემებით, 1950-იან წლებში მსოფლიოში მთლიანად ორი მილიონი ტონა პოლიეთილენი იწარმოებოდა, ამჟამად კი მისი წარმოება თითქმის 400 მილიონ ტონას შეადგენს(!), თანაც ამ შვიდი ათეული წლის განმავლობაში გამოშვებული პლასტიკატის ნახევარზე მეტი ბოლო 15 წელიწადშია წარმოებული. თუ რამდენად აბინძურებს გარემოს პოლიეთილენისგან დამზადებული შეფუთვები, ტარა, პარკები თუ სხვა რამ ნაწარმი, ამის თაობაზე ჩვენი გაზეთი ცოტა ხნის წინათ (2018 წლის 6 დეკემბერი, №247) წერდა. ამას შეიძლება ის ცნობაც დავამატოთ, რომ სტატისტიკური გათვლებით, 2050 წლისთვის დედამიწაზე — წყალშიც და ხმელეთზეც, დაახლოებით 12 მილიარდი ტონა პლასტმასი დაგროვდება. ბუნებრივ პირობებში პლასტიკის ამ უზარმაზარი მასის ნარჩენი საუკუნეზე გაცილებით მეტი დრო დასჭირდება, თუმცა ნარჩენი პროდუქტებით გარემო, შეიძლება ითქვას, ნაკლებად არ დაბინძურდება. ბუნებრივია, რომ ეს პრობლემა საქართველოსთვისაც ისევე აქტუალურია, როგორც სხვა ქვეყნებისთვის. ამის მიუხედავად, მთავრობის აღნიშნულ დადგენილებას იმთავითვე საკმაოდ მრავლად გაუჩნდა მოწინააღმდეგეც, რაც პრინციპში, არც არის გასაკვირი. ესენი, პირველ ყოვლისა, პოლიეთილენის პარკების ბიზნესში ჩართული პირები, უმეტესწილად კი მათი რეალიზატორები არიან, რომელთაც საქონლის საკმაო მარაგები აქვთ დაგროვილი და ახალი რეგულაციის ამოქმედებამდე საქონლისგან ხელის გაცლა ძალიან ძნელი საქმე იქნება. იმის მიუხედავად, რომ ამ ღონისძიების შესახებ ჯერ კიდევ 2016 წელს იყო გაცხადებული, პოლიეთილენის პარკების რეალიზატორებმა თავიანთი უკმაყოფილება უკვე საჯაროდაც გამოთქვეს.

ასეა თუ ისე, „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესების“ ამოქმედება სულაც არ გახლავთ მთავრობის საპირველაპრილო ხუმრობა, მათი დაცვა კი, სავარაუდო ზარალის მიუხედავად, ქვეყნის ყველა მოქალაქეს ევალება.

პაპანაქების მოლოდინის განცდა

მთელი გასული წლის განმავლობაში მზეზე ლაქები თითქმის სრულიად გაქრა, რასაც ყოველთვის მისი აქტივობის საგრძნობი კლება მოჰყვება. ამის შედეგად დედამიწის ატმოსფეროს უმძლავრესმა თერმოსფერომ (80-800 კილომეტრი ზედაპირიდან) გაცივება დაიწყო. ამან ბევრ მკვლევარს მისცა საბაბი, რომ გამყინვარების ხანის დასაწყისის შესახებ დაეწყო ლაპარაკი, თუმცა ზოგიერთნი ამ შეხედულებას არ იზიარებენ და აცხადებენ, რომ მზის აქტივობის კლებას ყოველთვის მისი გაძლიერება მოსდევს ხოლმე.

მათი მტკიცებით, გამყინვარების პერიოდი დედამიწაზე აუცილებლად კი დაიწყება, ოღონდ რამდენიმე ათასი წლის შემდეგ. ამჟამად კი დედამიწას პირიქით, არნახული სიცხეებისა და მასთან დაკავშირებული კლიმატური ანომალიების საფრთხე ელის. ყველაფერთან ერთად, ამას ხელს უწყობს ისიც, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე კაცობრიობამ პლანეტის ატმოსფეროს უმძლავრესი სითბური დარტყმა მიაყენა — დაიწვა მილიარდობით ტონა საწვავი წიაღისეული, ხანძრებისა და ხეთა გაჩეხის შედეგად განადგურდა ტყეების უზარმაზარი მასივები. გარემოზე ზემოქმედების შედეგად ადამიანმა შეცვალა ატმოსფეროში საჰაერო მასების ცირკულაცია, რის შედეგად პოლუსებზე ხშირად ანომალიურად თბილი ამინდებია, უდაბნოებში კი ზოგჯერ თოვლი მოდის. ამის შედეგად, ამინდის პროგნოზირება ძალიან გაძნელდა, რადგან ტემპერატურა მთელ პლანეტაზე სრულიად ქაოტურად გადანაწილდა. მაგალითად, ატლანტიკური თბილი დინება ვოლფსტრიმი, რომელიც ჩრდილოეთ ევროპას ათბობს, უკვე 10 პროცენტით გაცივდა. ამის შედეგად კი უზარმაზარ რეგიონში — კონტინენტის ჩრდილოეთით ქვეყნებში, უფრო მკაცრი ზამთრები დგება.

მაგრამ გაცილებით დიდ ტერიტორიებზე ჰაერის ტემპერატურამ არნახულად მოიმატა: უზარმაზარი ხანძრები, რომლებსაც სახელმწიფოები ვერაფრით ერევიან, არა მარტო, ვთქვათ, საბერძნეთში, ესპანეთში და კალიფორნიაში მძვინვარებს, არამედ ახლა უკვე გრენლანდიაშიც კი ჩნდება! გარდა ამისა, გაცილებით უფრო მძლავრი და სახიფათო ხდება გრიგალები, ტაიფუნები, წყალდიდობები, ქარბორბალები, რაც გლობალური ცვლილებების შედეგია.

ამდენად, მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ მომავალი კლიმატური ცვლილებებისთვის მზადება ამთავითვეა საჭირო. საამისოდ მისაღებ ღონისძიებათა ნუსხა უკვე ცნობილია: ესაა პირველ რიგში **ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებისა და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენება, ატმოსფეროდან ნახშირმჟავე გაზის მოცილება, მწვანე საფარის აღდგენა და სხვა,** რითაც, შესაძლებლობისამებრ, კლიმატს „წავეშველებით“.

დღეგრძელობის ღიმი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ, ის, ვინც ხშირად იღიმება, უფრო იშვიათად ავადმყოფობს. სტრესების მიმართ უფრო გამძლეა და მეტ ხანსაც ცოცხლობს. გთავაზობთ რამდენიმე სამეცნიერო ფაქტს ღიმილის სარგებლიანობის შესახებ.

გამაყუჩებლად მოქმედებს

ღიმილი „რთავს“ თირკმელზედა ჯირკვლებში კორტიზოლის, თავის ტვინში კი ენდორფინების სინთეზის პროცესს. ამ ჰორმონებს ძლიერი გამაყუჩებელი და ანტისტრესული მოქმედება აქვთ, აწესრიგებენ არტერიულ წნევას და აჩქარებენ იარების შეხორცებას.

ძრავს ქოქავს

კანადის ალბერტას უნივერსიტეტის დოქტორი უილიამ შტრეინი ამტკიცებს, რომ ღიმილი და სიცილი ორგანიზმს ისეთ სერიოზულ დაავადებებთან ბრძოლაში ეხმარება, როგორებიცაა გულისა და სისხლძარღვების დაავადებები, ასევე ავთვისებიანი სიმსივნეები. იგი ყოველდღიურად დღეში თუნდაც 30-წუთიანი სიცილოთერაპიის ჩატარებას ურჩევს.

ინარჩუნებს ოჯახებს

ასევეთვე კვლევა, ოღონდ ფოტოსურათებით, ჩაატარეს ინდიანის (აშშ) დენოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა. მათ ცოლქმრული წყვილები შეადარეს და დაადგინეს, რომ, რაც უფრო იშვიათად იღიმება ადამიანი, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ მისი საოჯახო ცხოვრება გაყრით დასრულდება.

მომხიბლაობას მატებს

თვალისმომჭრელი, ეგრეთ წოდებული „ჰოლივუდური“ ღიმილის ფორმულა, რომლითაც ჯულია რობერტსი, ბრედ პიტი და ენ ჰეთეუი იღიმებიან, ძალზე მარტივია: სამხრეთ კალიფორნიის ლომა-ლინდისა და ოჰაიოს (აშშ) უნივერსიტეტების მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ყველაზე პოზიტიურად ადამიანები მაქსიმალურად ფართო ღიმილს აღიქვამენ, ანუ ის სახის ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს. თანაც კბილის ემალის ტონი ბუნებრივი იყო, რომელიც თვალის თეთრას ელფერს უნდა შეეხამებოდეს. ამდენად, „სწორი“ ღიმილის დადებითი ეფექტი მხოლოდ ძლიერდება!

სიცოცხლეს ახანგრძლივებს

რაც უფრო ფართოა ღიმილი და ღრმაა თვალებს გარშემო ნაოჭები, ხანგრძლივი სიცოცხლის მით უფრო მეტი შანსი გვაქვს. ეს დასკვნა 2010 წელს მიჩიგანში (აშშ) უეინის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოიტანეს. მათ ბეისბოლის უმაღლესი ლიგის მოთამაშეთა 230 ფოტოსურათი შეადარეს და მოულოდნელი რაღაცები აღმოაჩინეს. ზოგიერთმა მათგანმა, ვინც ფოტოზე სერიოზული იყო, საშუალოდ 72,9 წელი იცოცხლა. ღიმილიანმა ბეისბოლის მოთამაშეებმა 75 წელი იცოცხლეს. ისინი კი, ვინც გულღიად იღიმებოდა და თვალებს მხიარულად ჭუტავდნენ, მთელი 79,9 წელი იცოცხლეს!

ასე რომ, თუკი ადამიანს ღიმილისკენ ბუნებრივი მიდრეკილება აქვს, მან საშუალოზე შვიდი წლით მეტი შეიძლება იცოცხლოს!

გვერდი მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ვინ ყუბით კარპატებში

რუმინულ კლუჟში დღეს 16 საათიდან რაგბი ევროპის 2019 წლის გათამაშების პირველ რაუნდში ერთმანეთს კონკურენტები — მასპინძლები და ქართველები დაუპირისპირდებიან. ამ მატჩში ანთიმოზ ივერიელის თასიც გათამაშდება. აღნიშნულ ტრადიციას 2002 წელს ჩაეყარა საფუძველი. 17 წლის განმავლობაში საპატიო ჯილდოს 11-ჯერ ქართველები, ექვსჯერ კი კარპატელები ფლობდნენ. შარშან ის თბილისში „ბორჯღალოსნებმა“ დაისაკუთრეს.

დღეს კლუჟში ჩვენები ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ: ლაშა ხმალაძე, სანდრო თოდუა, მერაბ შარიქაძე (კაპიტანი), გიორგი კვესელაძე, ზურაბ ძნელაძე, თედო აბჟანდაძე, ვასილ ლობჟანიძე, გურამ გოგიჩაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ბექა გიგაშვილი, დავით გიგაური, გიორგი ნემსაძე, ბექა საღინაძე, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე, გიორგი აფციაური, მირიან მოდებაძე, გელა აფრასიძე, ვანო კარკაძე, თორნიკე მატარაძე, ლევან ჩილაჩავა, ნოდარ ჭეიშვილი, გიორგი თხილაიშვილი.

ცნობისთვის: მწიგნობარი, მესტამბე, განმანათლებელი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე ანთიმოზ ივერიელი გახლდათ სამცხე-საათაბაგოში დაბადებული ქართველი, რომელიც თურქებმა ტყვედ გაყიდეს. 1691 წელს მან ბუქარესტში დააარსა სტამბა და რუმინელებს მშობლიურ ენაზე პირველი წიგნი დაუბეჭდა. უდიდესი წვლილი შეიტანა რუმინული სალიტერატურო ენის განვითარებაში. 1705 წელს ანთიმოზი ეპისკოპოსად, 1708 წელს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად აკურთხეს. 1716 წლის 12 სექტემბერს თურქმა იანიჩრებმა ხმლებით აკუწეს. 1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა.

ლაშა დიდია

◎ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲓᲘᲗ

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის უეფას თავკაცის თანამდებობას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კვლავ ალექსანდრ ჩეფერინი დაიკავებს, რომელიც რომში გამართულ უეფას 43-ე საარჩევნო კონგრესზე ერთადერთი საპრეზიდენტო კანდიდატი იყო.

51 წლის სლოვენიელმა, წინა არჩევნების მსგავსად, მხარდაჭერა ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციისგანაც მიიღო. იგი უეფას პრეზიდენტის თანამდებობას 2016 წლის სექტემბრიდან იკავებს.

გუშინვე იტალიაში უეფას აღმასრულებელი კომიტეტის ახალი შემადგენლობა დაამტკიცეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲝᲠᲘ ᲥᲣᲚᲘᲗ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა 2018-2019 წლების ჩემპიონატის მე-2 წრის მე-10 ტურის ორ მატჩში, რომლებიც თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა, აღმოსავლეთის ზონის 4 გუნდი მონაწილეობდა. დრამატულად წარიმართა თბილისის „პეგასისა“ და თელავის „იმედი“-სტუ-ს პაექრობა. ჯერ მასპინძლები დაწინაურდნენ — 5:1, მაგრამ ტაიმის მიწურულისკენ სტუმრები 6 ბურთით გავიდნენ წინ - 18:12. ასეთი დაძაბული ორთაბრძოლა არც იყო გასაკვირი, რადგან ორივე გუნდი ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელია და პოზიციების განსამტკიცებლად იბრძოდა.

მეორე ტაიმში უპირატესობას „პეგასი“ დაეუფლა. განსაკუთრებით გამოირჩა კალანდაძე, რომელმაც თელაველებს 17 ბურთი გაუტანა. საბოლოოდ თბილისელებმა სამი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს, მოაგროვეს 16 ქულა და ერთპიროვნულ ლიდერ „ბათუმს“ ორი ქულით ჩამორჩებიან. მართალია, ამდენივე ქულა აქვს „ქუთაისსაც“, მაგრამ კონკურენტი რიონისპირელებს დამატებითი მაჩვენებლებით უსწრებს და მეორე ადგილზეა.

პეგასი - თელავი 33:30,
სპორტუნი - გორი 40:38

ეროვნულ ჩემპიონატში 10 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: „ბათუმი“ — 18 (432:275), „პეგასი“ — 16 (435:306), „ქუთაისი“ — 16 (394:280), „იმედი“ — სტუ — 14 (357:305), „გორი“ — 6 (367:421), „სპორტუნი“ — 6 (330:439), „სამტრედია“ — 3 (272:378), „წყალტუბო“ — 1 (237:411) ქულა.

მეორე წრის საერთო ტური 26 თებერვლიდან პირველი მარტის ჩათვლით თბილისში გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲓᲘᲓ ᲡᲚᲔᲛᲖᲔ - 11 ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲘᲗ

დღეს და ხვალ საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირს უმასპინძლებს. საქართველოს ვაჟთა ნაკრები შეჯიბრებაში 11 სპორტსმენით ჩაებმება. წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგლებისთვის იბრძოლებენ: **60 კგ.-** ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე, **66 კგ.-** ვაჟა მარგველაშვილი, ნიკო ჭიკაიძე, **73 კგ.-** ლაშა შავდათუაშვილი, ლაშა გიუნაშვილი, **81 კგ.-** კობა მჭედლიშვილი, **100 კგ.-** ვარლამ ლიპარტელიანი, ლაშა ტაველური, **+100 კგ.-** ონისე ბუღაძე, გიორგი ზაქარიაძე.

ია ჭიკაძე

◎ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲜᲝᲙᲐᲣᲢ-ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთი ქალი და 15 მამაკაცი ჩაება საქართველოს ვაჟთა 2019 წლის 78-ე ეროვნულ ჩემპიონატში (საპრიზო ფონდი 18.500 ლარი), რომელიც ნოკაუტ-სისტემით ტარდება. მედლების მფლობელებს ოთხი წრე გამოავლენს. თითოეულში 2-2 კლასიკური პარტია გათამაშდება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტაი-ბრეიკები დაინიშნება 25-25, 10-10 და 5-5-წუთიანი პარტიებით.

პირველი რაუნდი: ლევან ფანცულაია (2611) — ნოდარ ლორთქიფანიძე (2326) 2:0, ირაკლი ბერაძე (2490) — თორნიკე სანიკიძე (2493) 1.5:0.5, დავით არუთინიანი (2552) — გიორგი სიბაშვილი (2420) 1.5:0.5, ნოე თუთისანი (2468) — კონსტანტინე შანავა (2516) 0.5:1.5, დავით ჯოჯუა (2588) — მერი არაბიძე (2387) 1:1, დავით ბენიძე (2469) — გიგა ყუფარაძე (2493) 0.5:1.5, ნიკოლოზ კაჭარავა (2397) — ლუკა პაიჭაძე (2580) 1:1, დავით მაღალაშვილი (2504) — ნიკოლოზ პეტრიაშვილი (2464) 1:1.

ფანცულაია, ბერაძე, არუთინიანი, შანავა და ყუფარაძე მეოთხედფინალში გავიდნენ. დანარჩენ სამ წყვილში მეორე ეტაპზე გასასვლელად ტაი-ბრეიკებში დავით ჯოჯუა - მერი არაბიძე, ნიკოლოზ კაჭარავა-ლუკა პაიჭაძე და დავით მაღალაშვილი-ნიკოლოზ პეტრიაშვილი იბრძოლებენ.

გივი გაგუა

◎ ᲡᲐᲛᲗᲝ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ

ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲨᲘ - ᲑᲔᲜᲘᲐᲘᲫᲔ

გუდაურის „სასპორტო ფერდობზე“ საქართველოს სამთო მოთხილამურეთა 2019 წლის თასის გათამაშების მესამე ეტაპის მონაწილე მასპინძელთა, ბაკურიანის, მესტიის, აჭარის ნაკრები გუნდებისა და სასპორტო სკოლების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. სამ ასაკში სულ 70 ქალ-ვაჟი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას გიგანტურ სლალომში. საგულისხმოა, რომ მოასპარეზეთა შორის იყო საქართველოს ნაკრების წევრი, ოლიმპიური თამაშებისა და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის მონაწილე ალექსი ბენიაიძე, რომელმაც 2002 წელს და უფრო ადრე დაბადებულთა პაექრობაში აჯობა ყველას.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: **2005-2006 წ.წ.** მარიამ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.51.28), კოტიკო გოცირიძე (გუდაური, 1.28.77); **2003-2004 წ.წ.** მარიამ ნავერიანი (სვანეთი, 1.41.30), ლუკა ბუჩუკური (გუდაური, 1.20.11); **2002 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** კატო გოცირიძე (გუდაური, 1.23.97), ალექსი ბენიაიძე (გუდაური, 1.11.38).

თამაზ პატარიძე

უფალო, შეიბრალე მდიდრები!

ახლა, როცა საქართველოში სიღარიბის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლაა გამოცხადებული, ღარიბებთან ერთად რატომღაც მდიდრებიც გამახსენდა. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა გამხსენებოდა, ისინი მართალია, ცოტანი არიან (მთელი საზოგადოების რაღაც 5-7 პროცენტი), მაგრამ მაინც ხომ არიან? ნუ ვიქნებით უსამართლონი, მათ ის ჩაგვრა და უუფლებობაც ეყოფათ, რაც საბჭოთა პერიოდში გადაიტანეს.

არაფერს ვაჭარბებ, კომუნისტებმა მდიდრებს სოციალური თავმოყვარეობა შეულახეს. მათ არ შეეძლოთ, არამც თუ ეტრაბახათ თავიანთი ქონებით, არამედ, საერთოდ გამოეჩინათ იგი. ამიტომ სულ მალავდნენ და ჩქმალავდნენ, ფული ჰქონდათ და ვერაფერს ყიდულობდნენ, ოქრო ჰ ქონდათ და მიწაში ფლავდნენ.



რას იზამ, ასეთი იყო კომუნიზმის მშენებლობის ლოგიკა: ყველას თანაბარ პირობებში უნდა ეცხოვრა.

მახსოვს, ერთხელ ვიღაც მდიდარი პარტოკრატის ბინა გაქურდეს, საიდანაც დიდი ოდენობის ფული და ძვირფასეულობა წაიღეს. რა თქმა უნდა, პოლიცია ფეხის წვერებზე დადგა და დამნაშავე დააკავა. მან სასამართლოზე პირუთვნელად აღიარა დანაშაული, მაგრამ ვერაფრით გამოტეხეს თვით ბინის პატრონი: ტყუილად ლაყბობს ეგ ვიღაც თახსირი, ჩემ სიცოცხლეში მასეთი ოქროულობა და ფული არც მქონია და არც შეიძლება მქონოდაო, მთელი ჩემი ცხოვრება ხელფასზე ვიჯექი და მაგდენს საიდან დავაგროვებდიო.

ეს მაშინ, მაგრამ რა ხდება დღეს?

დღეს სულ სხვა ცხოვრება წამოვიდა. კომუნიზმს თავი დავაღწიეთ და დემოკრატიას ვაშენებთ, რომელსაც უყვარს მდიდრები და არ უყვარს ღარიბები. ყოველ ადამიანს, იქნება ის მეწარმე, დეპუტატი თუ ჩინოვნიკი, მინისტრი თუ პრეზიდენტის ნათესავი, შეუძლია ჩადგეს უკანონო ბიზნესში, უოფლოდ და უშრომლად დაგროვოს ცხოვრება-ქონება, მილიონები და მილიარდები, ააშენოს ოფისები და სასახლეები. მაგრამ, ამის მიუხედავად, რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ქვეყანაში ღარიბების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც ჩაგრავს მდიდრების აბსოლუტურ უმცირესობას.

საქმე ის გახლავთ, რომ მდიდრებმა ვერც მწყაზარი დემოკრატიის პირობებში მიაღწიეს მათთვის წილი პატივისა და თავმოყვარეობის აღიარებას, ღარიბებს ყველაფრის უფლება აქვთ — აქციების მოწყობის, ქუჩების გადაკეტვის, ხელისუფლების გადაყენების, ხელფასებისა და პენსიების გაზრდის მოთხოვნის, მდიდრებს კი არაფრისა. მათ ისიც კი ვერ გაუბედავთ, დეკლარაციაში გულწრფელად განაცხადონ, რა ქონების პატრონნი არიან, რა რაოდენობის თანხები მოახმარეს საკუთარი ბინების თუ სასახლეების მშენებლობას სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ უცხოური ინვესტიციებიდან. შიშის ძველი კომპლექსი — რა იცი, რა მოხდება! — მათ ამის უფლებას არ აძლევს.

ამიტომაც, მდიდრები იძულებული არიან, დიდი საქვეყნო და საბიზნესო საქმეები დამუნჯებულებმა აკეთონ, მშენებარე თუ აშენებული ბინები სხვის სახელზე გააფორმონ, უცხოური გრანტები და კრედიტები ნათესავებსა და ძმაბიჭებზე გასცენ, სიდედრ-სიმამრის „მერსედესებით“ და „პრადოებით“ იარონ, რესტორნებში ქეიფისას მხოლოდ ხმადაბლა იღიღინონ. ერთადერთი პრემია-დანამატებს იღებენ ღიად და გამჭვირვალედ და ისიც ლამის ყელში ამოადინონ.

ღმერთმა ნუ ქნას, მდიდართა ძმაკაცებმა და ნათესავებმა, რომელთა სახელზეც მათი ქონებაა გაფორმებული, სინდის-ნამუსზე ხელი აიღონ და მისაკუთრონ, თორემ ამის მომსწრე მდიდრები ხომ ერთმანეთზე მიყოლებით დაინფარქტდებიან...

ამის წარმოდგენაც კი არ მინდა, ვერ გამიგია, რატომ უნდა შევზღუდოთ მდიდრები ისე, რომ საკუთარი ქონებისა ეშინოდეთ? კიდევ კარგი, ისინი საზოგადოების მცირე ნაწილი არიან, თორემ ხომ შეიძლება ამ უსამართლობას სოციალური აფეთქება და რევოლუციაც კი მოჰყოლოდა?

არა, ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლება. როგორმე ახლა მაინც რაიმე ცვლილება უნდა შევიტანოთ კანონმდებლობაში მდიდრების სასარგებლოდ, თორემ მეტისმეტი გამოგვდის. ეს ხალხი ძველ წყობილებაშიც ძალიან გვეჩაგრებოდა და ახალშიც.



უფალო, შეიბრალე მდიდრები!

ოთარ ხუციშვილი

სანთელი

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, პეტრე ბერაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალაქ ფოთის და ქალაქ თბილისის ყოფილი მერი, უკეთილშობილესი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე

ვანო ზოდელავა

და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ვაჟა მეტრეველი დიდ მწუხარებას გამოხატავს ღირსეული ქართველის

ვანო ზოდელავას

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო, უთანაგრძნობს ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს.

გორის ერთ-ერთ სკოლაში მშობელმა მასწავლებელი სცემა

ამის შესახებ რადიო „მოზაიკას“ აცნობეს. წყაროს ინფორმაციით, მშობელმა პედაგოგს ფიზიკური შეურაცხყოფა მას შემდეგ მიაყენა, რაც გაიგო, რომ მის შვილს მასწავლებელმა გაკვეთილზე სცემა.

„მას შემდეგ, რაც მშობელმა გაიგო, რომ მასწავლებელმა მისი შვილი გაკვეთილზე სცემა, სკოლაში მოვიდა. პედაგოგსა და მას შორის ფიზიკური დაპისრიპირებაც ამ ამბავს მოჰყვა“. არსებული ინფორმაციით, სკოლის მანდატურმა ადგილზე პოლიცია გამოიძახა. მან განყოფილებაში ჯერ მასწავლებელი წაიყვანა, მოგვიანებით კი ფაქტზე მშობელიც გამოკითხა.

მასწავლებელმა და მშობელმა გორის სამმართველოს განყოფილებაში, გამოკითხვაზე ყოფნისას, ფიზიკური დაპირისპირება უარყვეს და თქვეს, რომ მათ შორის ადგილი მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას ჰქონდა. მომხდარის შესახებ საქმის კურსშია სკოლის დისციპლინარული საბჭო. როგორც სკოლის დირექტორმა გვითხრა, 10 დღის ვადაში, ისინი მოიკვლევენ, რა მოხდა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. „იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ მასწავლებელმა ბავში სცემა, ის სამსახურს დატოვებს. თუ მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი, მაშინ მას გაფრთხილებას მივცემთ“, — გვითხრა სკოლის დირექტორმა. რაც შეეხება მასწავლებელსა და მშობელს შორის მომხდარ დაპირისპირებას, ამაზე გამოძიებას გორის პოლიცია აწარმოებს.

თბილისში 13 წლის ბიჭზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით ერთი პირია დაკავებული

როგორც ცნობილია, სავარაუდოდ ბრალდებული 50 წლამდე ასაკის მამაკაცია.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ბრალდებული დაზარალებულის მეზობლად ცხოვრობდა, სამართალდამცავ უწყებას კი არასრულწლოვნის დედამ მიმართა. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც, ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით სექსუალური ხასიათის ქმედებას გულისხმობს.

თბილისის პრესტიჟულ უბანში მანქანის ოთხივე საბურავი მოიპარეს!

თბილისში Pontiac Solstice-ის მარკის ავტომობილს ოთხივე საბურავი მოხსნეს და ბლოკებზე შეაყენეს.

„აი, დადგა ის ნანატრი ხვალე.... ვიღაცამ ოცნება აისრულა ჩემი მანქანის საბურავებით.... გაგებით მოვეკიდო? არადა, ყველაზე დაცულ უბანში ვცხოვრობ ვითომ...“ — წერს პიარ-მენეჯერი მაია ბიჭიკაშვილი.

გამოძიება სისხლის სამართლის კდექსის177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს და საგამოძიებო მოქმედებები მმდინარეობს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

4 წლის ბავშვის მკვლელობაში მსჯავრდებულის განაჩენი ძალაში დარჩა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად, ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმად, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, უზბეკეთის მოქალაქე ს. მ. დამნაშავედ ცნო.

სახელმწიფო ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით და სასამართლოს განაჩენით დადასტურებულია, რომ 2018 წლის 13 ივნისს, ს.მ.-მ, ქ.ბათუმში, თავის დროებით საცხოვრებელ სახლში, მისთვის მიბარებულ, 4 წლის გოგონას განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლინებით, მოკვლის განზრახვით, სხეულის სხვადასხვა ადგილებში მიაყენა მრავლობითი, მათ შორის სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები. მიღებული დაზიანებების შედეგად არასრულწლოვანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ს.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

უაქციზო ალკოჰოლური სასმელის შენახვა-გადაზიდვის ახალი ფაქტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პირთა ჯგუფის მიერ, უაქციზო ალკოჰოლური სასმელის შენახვა-გადაზიდვის ფაქტი გამოავლინეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისში, დანაშაულში მხილებული პირების სატრანსპორტო საშუალებიდან ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი სომხური წარმოების სხვადასხვა დასახელების 57 ბოთლი უაქციზო კონიაკი. ამოღებული ალკოჰოლური სასმელის საერთო საბაზრო ღირებულება 3 000 ლარს აღემატება. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

ევროპაში წითელა მძვინვარებს

ევროპის მასშტაბით წითელათი დაავადებულთა რაოდენობამ 2018 წელს ათწლეულის რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იუწყება. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ გასულ წელს მწვავე ვირუსული დაავადებით საერთო ჯამში 82 596 ადამიანი დაავადდა. მათგან 61 პროცენტის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. წითელათი დაღუპულების რაოდენობამ კი 72-ს მიაღწია. მათ შორის არიან ბავშვებიც.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მწვავე ვირუსული დაავადების შემთხვევები **ევროპის 47 ქვეყანაში დაფიქსირდა, თუმცა აღნიშნულ რეგიონში წითელათი დაავადებულების 92 პროცენტი მხოლოდ 10 ქვეყანაზე მოდის. მათ შორის არის უკრაინა (52 218), სერბეთი (5 076), ისრაელი (2 919), საფრანგეთი (2913), იტალია (2 517), რუსეთი (2 556), საქართველო (2 203), საბერძნეთი (2 193), ალბანეთი (1 466), რუმინეთი (1 987).**

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, 2018 წლის მონაცემები 2017 წელს წითელათი დაავადებულთა რაოდენობას სამჯერ აღემატება, 2016 წლის მონაცემებს კი – 16-ჯერ. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, წითელას მეორე აფეთქებას უახლოეს მომავალში ნიუ იორკისა და ვაშინგტონის შტატებში ელიან.

საინტერესო ფაქტები ვალენტინობის შესახებ

1. ყოველწლიურად მსოფლიოს მასშტაბით შეყვარებულები 13 მილიარდზე მეტს ხარჯავენ 14 თებერვალს;
2. არსებობს სამი წმ. ვალენტინი და არავინ იცის, კონკრეტულად რომლის სახელს უკავშირდება 14 თებერვალი;
3. ვალენტინობა აკრძალულია საუდის არაბეთში;
4. 1958 წელს იაპონელმა ქალებმა დაიწყეს თავისი შეყვარებულებისათვის შოკოლადის ჩუქება;

5. 2013 წლის 14 თებერვალს ტაილანდურმა წყვილმა ყველაზე ხანგრძლივი კოცნის რეკორდი დაამყარა;
6. მიჩიგანში იურისტები განქორწინების პროცედურას უფასოდ ახორციელებენ.
7. 1876 წლის 14 თებერვალს ალექსანდრე ბელმა დააპატენტა თავისი გამოგონება – ტელეფონი;
8. კომპანია „Ikea Australia“ 14 ნოემბერს დაბადებულ ბავშვებს (ანუ სავარაუდოდ 14 თებერვალს ჩასახულებს) უფასო საბავშვო საწოლის შესაძენ კუპონს ჩუქნის;
9. თეოდორ რუზველტმა 1884 წლის 14 თებერვალს თავის დღიურში დაწერა – „დღეს ჩემი ცხოვრების სინათლე ჩაქრა“;
10. რობერტ ინდიანამ შექმნა ვალენტინობის დღის მარკა 1973 წელს.

ფენიქსისებრი მანუელა

იტალიელი მოდელი მანუელა არკური მალე 42 წლის გახდება და თავისი ცხოვრების მანძილზე უკვე იმდენი რამ მოასწრო, ზოგს შეიძლება ასეთ ამბებში გასახვევად ორი ცხოვრებაც კი არ ყოფნოდა. ეს შხვართი დამდგარა და იძახის – მე ფენიქსისებრი ქალი ვარ და ყოველთვის ხელახლა ვიწყებ ცხოვრებასო.

ვინ არ ყოფილა სენიორა არკურის გულისსწორი ან ქმარი – ცნობილი სპორტსმენები, პოლიტიკოსები თუ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები... იყო დრო, როდესაც მანუელას თვალს იტალიის ოდიოზური პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონიც კი უჟუჟუნებდა, რაც მისნაირი კაცისგან გასაკვირი არ უნდა იყოს.

თუმცა, ცხოვრებაში ამდენი თავგადასავლის მიუხედავად, მანუელა არკური ყველაზე ხშირად მაინც მის მცირეხნიან გულისსწორს, ყოფილ იტალიელ ფეხბურთელს კრისტიან ვიერის, იგივე "ბობოს" იხსენებს, რომელსაც მოფერებით „ხარს" ეძახის და ამბობს, რომ მისთანა კაცი მთელს დუნიაზე არ დაიარება. ბარაქალა კრისტიან, ბარაქალა შენ!

◎ სულიერება

წმინდა იოანე ოქროპირი

9 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იოანე ოქროპირის ხსენებას, რომელიც დღევანდელ დღესაა გადასვენებული (წმინდა ნაწილები) აფხაზეთის კომანიდან კონსტანტინოპოლში (438 წელი).

ცნობილია, რომ წმინდა იოანე ოქროპირი ანტიოქიის მაღალი წრის ოჯახიშვილი იყო. ბავშვობაში მამა დაკარგა და დედამ, სანიმუშო ქრისტიანმა ანთუსამ გულმოდგინედ აღზარდა. შემდეგ ის განთქმულ წარმართ ორატორ ლიბანიოსთან სწავლობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებით მიმადლებული ბრწყინვალე ნიჭი მან საფუძვლიანი და ღრმა განათლებით საგულდაგულოდ განავითარა და ბიბლიურთან ერთად კლასიკური განათლებაც მიიღო.

განათლების დასრულების შემდეგ იოანე ადვოკატის მოვალეობას შეუდგა და სახელი მჭევრმეტყველებით გაითქვა. მაგრამ მალე საერო ცხოვრება მობეზრდა. იმ დროის წესებით, უკვე მამაკაცობაში მონათლულ იოანეს უდაბნოში გასვლა სურდა და მხოლოდ დედის (მო)თხოვნით დარჩა. ამასობაში, იოანეს არაჩვეულებრივი ნიჭიერების შესახებ მელეტიმ, ანტიოქიის მთავარეპისკოპოსმა შეიტყო და სასულიერო დასში ჩარიცხა. ამ დროს იოანე გაძლიერებულად სწავლობდა წმინდა წერილს და ღმრთის მეტყველებასთან დაკავშირებულ სხვა მეცნიერებებს.

მალე, მთელ ქრისტიანულ სამყაროში უკვე ქუხდა წმინდა იოანეს, როგორც ოქროპირის დიდება (ეს სახელი მას ერთმა უბრალო, მისი სიტყვებით აღფრთოვანებულმა ქალმა ტაძარში ყველას გასაგონად უწოდა); ამიტომაც, როცა წმინდა გრიგოლი ღმრთისმეტყველის მემკვიდრის, ეპისკოპოსის ნექტარიოსის სიკვდილის შემდეგ, კონსტანტინოპოლის კათედრა განთავისუფლდა, იმპერატორმა არკადიუსმა ისურვა, რომ იგი იოანე ოქროპირისთვის ჩაებარებინათ.

წმინდა იოანე ოქროპირის დაუვიწყარი სიტყვები ასეთია: „დიდება ღმერთსა ყველაფრისთვის!"

* * *

10 თებერვალს ყველა მართლმადიდებელ ტაძარში აღესრულება ახალმოწამეთა და აღმსარებელთა კრების ხსენების დღე.

გიული ლიპარტია

იცით თუ არა, რომ...

- **1981 წელს შიდსისგან 25 მილიონი კაცი დაიღუპა?**
- **პოლონელი აზნაურების წინაპრები წარმოშობით სარმატები არიან?**
- **დიდი მათემატიკოსის ჰაუსის საფლავის ფილაზე მის პატივსაცემად სწორი 17-კუთხედია ამოკვეთილი?**
- **საშუალო სტატისტიკური ბანკომატი ყოველწლიურად საშუალოდ 250 დოლარით ცდება?**
- **მსოფლიოში ცნობილი გრინვიჩის ობსერვატორიის პერსტმონსოში გადატანის მიზეზი ლონდონური სმოგი გახდა?**
- **ინდონეზიაში მანგოს ნაყოფს შეჭმამდე პილპილ ჩილის აყრიან?**
- **უოლტ დისნეის ნახატი გმირის – თაგუნა მიკი მაუსის გამოსახულებას დედამიწაზე 3-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვების 98 პროცენტი სცნობს?**

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6471; ევრო - 3.0008;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4145
100 რუბლი - 4.0056; თურქული ლირა - 0.5045;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5609;
1000 სომხური დრამი - 5.4188.

ამინდი 9 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+8
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge